პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთწლედი — ვადამდე!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 თებერვალი ხუთშაბათი 1973 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 39 (15556)

## დამკვრელურ წელს — შრომას დამკვრელური!

## მშენებლობას — სწრაფი ტემპი, ხარისხი!

კაპიტალური მშენებლობა ნამდვილად საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა. იგი უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობასა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებაში. ამიტომ არის, რომ საბჭოთა ადამიანები ამაყობენ მშენებელთა დიდი არმიის სახელოვანი საქმეებით. უკანასკნელ წლებში საქართველოში აშენდა მრავალი ფაბრიკა და ქარხანა, სკოლა და საბავშვო ბაგა-ბაღი, ქალაქები დამშვენდა ახალი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კვარტალებით. უდიდესი მასშტაბებით მიმდინარეობს მშენებლობა მეცხრე ხუთწლედში.

მართალია, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ, საქართველოს მშენებელთა საქმიანობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ამის შესახებ უაღრესად პრინციპული ლაპარაკი იყო პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში თითქმის სისტემატურად არ სრულდება კაპიტალური მშენებლობის გეგმები. განსაკუთრებით დიდი ჩამორჩენაა საექსპლოატაციოდ გადასაცემი ძირითადი ფონდების გეგმების შესრულების საქმეში. კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულება კიდევ უფრო არადამაკმაყოფილებელია საბინაო, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგებში.

ყველაფერი ეს იმიტომ ხდება, რომ სამრეწველო ორგანიზაციები არ ახდენენ მთელი თავიანთი ძალების მობილიზაციას ასამოქმედებელი ობიექტების დადგენილ ვადებში ასამუშავებლად, რის გამოც სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული ბევრი ობიექტი საექსპლოატაციოდ არ არის გადაცემული, ან გადაცემულია ნაწილობრივ. მაგალითად, ნაწილობრივ გადაცემულია საექსპლოატაციოდ ხაშურის საექიმო-საგალანტერიო ფაბრიკის სიმძლავრე წლიურად 8 მილიონი მანეთის სიმძლავრის წარმადობით ნაცვლად 28 მილიონი მანეთისა, რუსთავის ქარხანა „ცენტროლიტი" 5 ათას ტონა ჩამოსხმულზე ნაცვლად 14 ათასი ტონისა; მწყობრში არ ჩამდგარა საგარეჯოს აგურის ქარხანა, ცხინვალის ხორცკომბინატი, გორის ბამბეულის კომბინატის ხვქვაბე და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ობიექტი. სავალალო და სამწუხაროა, რომ ხაგრძნობლად ჩამორჩება საბინაო მშენებლობა. რესპუბლიკის მოსახლეობას დიდი რაოდენობით დააკლდა საცხოვრებელი ფართობი.

კაპიტალურ მშენებლობას ძირითადად აწარმოებს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო. ცხადია, მის გამართულ მუშაობაზე, ბევრად არის დამოკიდებული მშენებლობის გეგმების შესრულება. შარშან აღნიშნული სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა შეესრულებინათ 293 მილიონ 981 ათასი მანეთის სამუშაოები, ფაქტიურად აითვისეს 278 მილიონ 643 ათასი მანეთი, ე. ი. გეგმა შესრულეს 94,9 პროცენტით. მარტო მშენებლობის სამინისტრომ გასულ წელს მოსახლეობას დააკლო 92 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი.

რამ გამოიწვია მშენებლობის ასეთი დაბალი ტემპი?

ამას ბევრი მიზეზი აქვს. მთავარი მაინც ის არის, რომ მთელმა რიგმა სამშენებლო ორგანიზაციებმა ვერ გამოიჩინეს ოპერატიულობა, ნელა ნერგავენ მუშაობის მოწინავე მეთოდებს, ვერ მოაწყეს შრომა უფრო გონივრულად, მეცნიერულად.

სამხრეთ ოსეთის სამშენებლო სამმართველოს, რომელსაც ზ. თედეევი ხელმძღვანელობს, შარშან უნდა შეესრულებინა 4 მილიონ 663 ათასი მანეთის სამუშაოები, ფაქტიურმა შესრულებამ 3 მილიონ 642 ათას მანეთს მიაღწია. წლიური გეგმა 78,1 პროცენტით შესრულდა. სხვა ობიექტების ჩამორჩენასთან ერთად მოსახლეობას დააკლო 2 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ასევე ცუდად იმუშავეს შარშან № 15 ტრესტის (მმართველი გ. გუჯეჯიანი) სამშენებლო ორგანიზაციებმა. აქ გეგმა 84,9 პროცენტით შესრულდა. განსაკუთრებით ცუდად იმუშავა № 6 ტრესტმა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბ. დადალიფა. მშენებლებმა წლიური გეგმის შესრულებას 20 პროცენტი დააკლეს, სამაგიეროდ დიდი რაოდენობით გადახარჯეს ხელფასის ფონდი.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მშენებლებმა თავი ვერ გაართვეს დაკისრებულ საქმეს. მაგრამ მშენებლებთან ერთად ხშირ შემთხვევაში სცოდავენ დამკვეთი ორგანიზაციებიც. იცვლება პროექტები, გვიან შემოაქვთ მოწყობილობა, ცხადია, ეს თავის მხრივ დიდ გავლენას ახდენს სამუშაოს შესრულების ხარისხზე. მაგალითად, ქუთაისის რეზინის ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანაში შარშან მშენებლებს 600 ათასი მანეთის სამუშაოები უნდა შეესრულებინათ და საექსპლოატაციოდ გადაეცათ ახალი საამქროები. წლის მეორე ნახევარში შეიცვალა პროექტი, დაიგეგმა სრულიად ახალი მოწყობილობა, რომელიც წლის ბოლოს შემოზიდეს, ცხადია, ამან ძირითადად განაპირობა ამ ობიექტზე გეგმის შეუსრულებლობა. ასევე მოხდა ზორაპნის ელექტროელემენტების ქარხანაში. შეიცვალა პროექტი, დროზე ვერ შემოზიდეს მოწყობილობა, ამის გამო შარშან მწყობრში ჩასაყენებელი ობიექტი დღესაც ასამუშავებელია. ასეთი ფაქტები ბევრია.

მთავარი კი მაინც ის არის, რომ მშენებლებმა და დამკვეთმა ორგანიზაციებმა დღემდე ვერ შეიგნეს, რომ სახსრების მრავალ ობიექტებზე დაქსაქსვა კარგ შედეგს ვერ იძლევა, ჭიანურდება ობიექტების მშენებლობა, ამით კი დიდად ზარალობს სახელმწიფო. შარშან მარტო მშენებლობის სამინისტრო ერთდროულად აწარმოებდა 1.663 ობიექტის მშენებლობას, აქედან გეგმა არ შესრულებულა 838 ობიექტზე. ეს ფაქტი აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ საგეგმო ორგანოებმა, დამკვეთმა და სამშენებლო ორგანიზაციებმა კარგად უნდა გაითვალისწინონ ყველაფერი, კონცენტრაცია გაუკეთონ მუშახელს, სახსრებს, მასალებს. რომ ყველა ობიექტი დადგენილ დროში დამთავრდეს.

1973 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ მშენებლობის მუშაკებს შემატა შემოქმედებითი ძალები, ინიციატივა და შრომითი აქტივობა. სამშენებლო ტრესტებში, სამმართველოებში, უბნებსა და ბრიგადებში აღებულია გაზრდილი ვალდებულებანი. ამ ვალდებულებებით მშენებლები კისრულობენ შეამცირონ საწარმო სიმძლავრეთა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობათა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ვადები, დროულად გადასცენ ისინი საექსპლოატაციოდ. საქმე ეხება აგრეთვე იმას, რომ განუხრელად შემცირდეს დაუმთავრებელ სამუშაოთა მოცულობა, გაუმჯობესდეს მშენებლობის ხარისხი, უფრო სრულად იქნას გამოყენებული ტექნიკა. ბევრმა კოლექტივმა გადაწყვიტა გადაჭარბებით შეასრულოს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებანი, უზრუნველყოს ობიექტების რიტმული ამოქმედება.

ამ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების საწინდარია მშენებლობის ორგანიზაციის მოწინავე მეთოდების შემდგომში მტკიცედ დანერგვა. უკვე მესამე წელია ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაითქვა სახელი მთავარმოსკოვმშენის ნოვატორი მშენებლის ნიკოლოზ ზლობინის მუშაობის მეთოდმა. ბრიგადა სამეურნეო ანგარიშით მუშაობს და 14-სართულიანი სახლის მშენებლობას 80 დღით ადრე ამთავრებს. სამწუხაროა, რომ ამ მეთოდით რესპუბლიკაში მხოლოდ სამი ბრიგადა მუშაობს. რატომღაც ამ მოწინავე მეთოდმა ფართო გასაქანი ვერ ჰპოვა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ამ მხრივ სამშენებლო ორგანიზაციები არ ზრუნავენ მოწინავე მეთოდების ფართოდ დასანერგავად.

ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი უნდა გახდეს გარდატეხის წელი. სამინისტროებისა და უწყებების, მშენებლობებისა და საწარმოების ხელმძღვანელებმა ახლავე დეტალურად უნდა გაუკეთონ ანალიზი, თუ როგორ მიდის საქმეები თვითეულ ასამოქმედებელ ობიექტზე, თავი მოუყარონ ძალებს და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს წარმოების გადამწყვეტ რგოლებში. უნდა შედგეს სამუშაოთა მიმდინარეობის, აგრეთვე ტექნოლოგიური და მაკომპლექტებელი მოწყობილობის, კონსტრუქციების, დეტალების, მასალების მიწოდების მტკიცე კომპლექსური გრაფიკები, ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული გეგმებითა და ვალდებულებებით დაწესებული ახალ სიმძლავრეთა ამოქმედების ვადები. მხოლოდ ასეთი გრაფიკების განუხრელი დაცვით შეიძლება მივაღწიოთ შრომის მაღალ ტემპს, რიტმულად ვაწარმოოთ მშენებლობა, არ დავუშვათ იერიშობანა.

ყველა სამუშაო გრაფიკის მიხედვით რომ შევასრულოთ, საჭიროა ბეჯითი, შემოქმედებითი, ორგანიზატორული საქმიანობა, ყოველი მშრომელის ინიციატივა, განსაკუთრებით **საჭიროა შრომის მკაცრი დისციპლინა, უნდა ავამაღლოთ ყოველი მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი.**

გასული თვის მუშაობის შედეგები ცხადყოფენ, რომ საქმე ჯერ კიდევ ისე ვერ ავაწყეთ, როგორც ეს საჭიროა.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ მშენებლებმა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წელი ცუდად დაიწყეს. კაპიტალური მშენებლობის იანვრის გეგმა ვერ შეასრულეს. ჩამორჩენის დასაძლევად საჭიროა აქედანვე მივიღოთ გადამჭრელი ზომები.

მშენებელთა წარმატებით შრომა ბევრად არის დამოკიდებული სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაობაზე. შემკვეთთა მოვალეობაა დროულად, სრული მოცულობით მიაწოდონ ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამება. მომარაგების ორგანოები მოწოდებული არიან უკეთ უზრუნველყონ მშენებლობანი მოწყობილობითა და მასალებით. ტრანსპორტის მუშაკები ვალდებული არიან შეუფერხებლად მიიტანონ ტვირთები მოედნებზე, სადაც ხუთწლედის ახალი საწარმოები და საცხოვრებელი სახლები შენდება.

საქმის წარმატება დამოკიდებულია ადამიანებთან ცოცხალ, კონკრეტულ მუშაობაზე. საჭიროა ყოველ ბრიგადას, ყოველ მუშას შევუქმნათ პირობები ნაყოფიერი შრომისათვის, ვალდებულებათა შესრულებისათვის. სწორედ ამ საკითხებს უნდა დაუთმონ ყურადღება ამთავითვე პარტიულმა ორგანიზაციებმა.

სანამ გვიან არ არის, ახლავე გადამჭრელი, კონკრეტული ღონისძიებანი უნდა განვახორციელოთ იმისათვის, რომ **გეგმა სრულდებოდეს ყოველთვიურად, კვარტალურად**, პარტიული კომიტეტები, სამინისტროები და უწყებანი მოვალენი არიან მკაცრი კონტროლი დააწესონ მატერიალური და ფინანსური რესურსების ხარჯვაზე, არ დაუშვან მათი დაქსაქსვა მრავალ ობიექტზე. მუშაობის მთავარი შედეგი უნდა იყოს არა ათვისებული სახსრების მოცულობა, არამედ ახალი საწარმოო სიმძლავრეების, საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ დროულად გადაცემა.

უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება გეგმისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის დევიზით: **ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის ყველა ასამოქმედებელი ობიექტი საექსპლოატაციოდ გადავცეთ ვადაზე და ვადამდე!**



## ლ. კირკიტაძე — ლაურეატი მეშახტე

ტყიბული. (საკ. კორ.). სტალინის სახელობის შახტში ამ ერთი წლის წინათ დააწესეს ლაურეატი მეშახტის წოდება. იგი ენიჭება იმ მეშახტეს, რომელიც ყველაზე მეტად გამოიჩენს თავს შრომაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში და ტექნიკური უსაფრთხოების წესების მტკიცედ დაცვის საქმეში.

ამ საპატიო წოდების მოპოვებისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში მრავალი მეშახტე მონაწილეობდა და შესანიშნავი შრომითი წარმატებებიც მოიპოვეს. ამას წინათ შახტში პირველად შეაჯამეს ლაურეატის წოდებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, საპატიო ჯილდო ხვდა პირველი საექსპლოატაციო უბნის მეშახტეთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს ლევან კირკიტაძეს. მოწინავე მეშახტე მთელი წლის მანძილზე უნარიანად უძღვებოდა ბრიგადას. ამოღებულ იქნა 9.400 ტონა ზეგეგმითი სათბობი. თვითონ ლ. კირკიტაძემ საიუბილეო წელს ნორმის გადამეტებით 1.000 ტონა ქვანახშირი ამოიღო და პირადი დავალება 44 პროცენტის გადაჭარბებით გაანაღდა.

ამ დღეებში შახტში გაიმართა სახელდახელო მიტინგი, რომელზეც სახელოვან მეშახტეს გადაეცა ლაურეატის მოწმობა და ფულადი ჯილდო 100 მანეთი.

## დავალება — სამი დღით ადრე

ჭიათურა. (საკ. კორ.). ახალი სამეურნეო წელი რიტმულად დაიწყეს მარგანეცის ტრესტის ცენტრალური დამყვანი და საფლოტაციო ფაბრიკების (დირექტორი გ. ასათიანი) კოლექტივებმა. მათ სამი დღით ადრე შეასრულეს სასაქონლო პროდუქციის გამოშვების იანვრის დავალება, მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნეს 47.810 ტონა მაღალხარისხოვანი კონცენტრატი.

აღსანიშნავია, რომ ფაბრიკების ყველა უბანი, ცვლა, ბრიგადა გადაჭარბებით ასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას. მაგრამ განსაკუთრებით დაწინაურდნენ იმ ცვლების კოლექტივები, რომლებსაც გ. შეყილაძე, გ. ნეფარიძე, ნ. გიორგაძე და ნ. კახნიაშვილი უძღვებიან.

ცენტრალური დამყვანი და საფლოტაციო ფაბრიკების კოლექტივებმა იანვარში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 6 ათასი ტონა სასაქონლო მარგანეცი.

## რკინიგზის მშენებელთა წარმატება

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საშვილიშვილო საქმე კეთდება — შენდება ზესტაფონ-თბილისის მიმართულებით რკინიგზის მეორე ლიანდაგი, რომელიც ორჯერ გაზრდის ტვირთების გატარებას. მიმოსვლა დაჩქარდება, მოძრაობა უსაფრთხო იქნება. ამით გადაწყდება დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის პრობლემა. ზესტაფონიდან სურამის უღელტეხილამდე რკინიგზის მეორე ლიანდაგს აშენებს ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს კოლექტივი, რომელსაც დიდი ხანია უნარიანად უძღვება გამოცდილი მშენებელი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი ვლ. ჟუჟუნაძე.

მშენებლებმა დიდი სიძნელეები გადალახეს შორაპან-ძირულის გადასარბენის მთიან რელიეფზე, მოთოკეს მოუსვენარი მდინარეები ძირულა და ჩხერიმელა, ააგეს დიდი სარკინიგზო რკინა-ბეტონის ხიდები, გაიყვანეს რვაასმეტრიანი გვირაბი. მარტო ხუთწლედის მეორე წელს მშენებლებმა 3,5 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულეს. მამაცურად შრომობენ სამშენებლო უბნების კოლექტივები, რომლებსაც ი. თაბაგარი, ვახტანგ და თენგიზ ბოხოჩაძეები ხელმძღვანელობენ. თავდადებული მუშაობით თავი გამოიჩინეს ლ. ძაბირაძის, ა. გუდაძის, დ. შეეცის, თ. ღონღაძის, ქ. ნოზაძის ბრიგადებმა.

რკინიგზის მშენებლებმა პირველი წარმატება მოიპოვეს — დაამთავრეს ზესტაფონ-თბილისის რკინიგზის მეორე ლიანდაგის მშენებლობის პირველი რიგი. ამ დღეებში 6,5 კილომეტრ ახალ ლიანდაგზე გაატარეს პირველი მატარებელი, რომელმაც შეუფერხებლად გაიარა ახლადაგებული ოთხი ხიდი და რვაასი მეტრი სიგრძის გვირაბი.

მეორე რიგის მშენებლობა გრძელდება. რკინიგზის მშენებლებმა პირობა დადეს დამკვრელურად იმუშაონ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს, ვადამდე შეასრულონ დიდმნიშვნელოვანი მშენებლობის დავალება. მათი სიტყვა მტკიცეა.

## დავპირდით და ვასრულებთ

თბილისის რძის კომბინატის კოლექტივმა მიმდინარე ხუთწლედში 26-ჯერ გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში მოიპოვა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. საიუბილეო წელს იმავე საწარმოო ფართობზე წინა წელთან შედარებით გაცილებით მეტი პროდუქცია გამოუშვა და გააუმჯობესა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. კოლექტივის შრომა დაფასდა. საწარმო დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს საიუბილეო საპატიო ნიშნით.

მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებულმა კოლექტივმა გადახედა თავის შესაძლებლობებს და ხუთწლედის გადამწყვეტ მესამე წელს გადიდებული ვალდებულებები იკისრა. პირობის გასანაღდებლად კომბინატის საამქროებსა და ბრიგადებში თავდადებული შრომა გაჩაღდა. იანვარში კარგი მაჩვენებლები მოვიპოვეთ. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 104,6 პროცენტით შევასრულეთ, გეგმის გადამეტებით 58 ათასი მანეთის პროდუქცია გამოვუშვით, პროდუქციის რეალიზაციის დავალება 101,8 პროცენტით გავანაღდეთ, შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 2,4 პროცენტით ავამაღლეთ, აღსანიშნავია, რომ იგივე საწარმოო ფართობზე შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით გასული წლის იანვართან შედარებით გამოშვებულია 1.800 ტონით მეტი რძე და რძის პროდუქტები, საერთო პროდუქციის ზრდამ 391 ათასი მანეთი შეადგინა, ხოლო რეალიზაციის მოცულობას 352 ათასი მანეთით გადავაჭარბეთ.

საწარმოს კოლექტივი ენერგიის დაუზოგავად შრომობს, რათა არ შეანელოს შრომის ტემპი, მოსახლეობა შეუფერხებლად მოამარაგოს რძისა და რძის პროდუქტებით და შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებანი.

ვ. მაღლაკელიძე,
თბილისის რძის კომბინატის დირექტორი.

## ვინც თავი ისახელა იანვარში



თბილისი. აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების საწარმოთა კოლექტივებმა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმის შესრულებისათვის ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება და სასურველ შედეგსაც აღწევენ. პროდუქციის რეალიზაციის იანვრის დავალება 101,5 პროცენტით გაანაღდეს. ბევრმა მქსოველმა და ოსტატმა ისახელა თავი. სურათზე: საქსოვი საამქროს ცვლის ოსტატი ა. უვანია მუშაობის პროგრესულ მეთოდებს ასწავლის მქსოველებს მ. ჭეხაშვილსა და ნ. ჩარკვიანს.

ა. სააკოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## გაზაფხული გვიხმობს

## ვიდრე თესვა დაიწყებოდეს

ატენის კოლმეურნეობა დიდი ქართველი მწერლის დავით გურამიშვილის სახელს ატარებს. ატენი საკმაოდ მოზრდილი სოფელია ზემო ქართლში. კოლმეურნეობა თითქმის ყველა წელს პირნათლად ასრულებს მოსავლიანობის გეგმებს, სახელმწიფო დამზადებებს.

მაგრამ ეს როდი აკმაყოფილებს თავკაცებს. ახლახან ისინი სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის კალინინის სახელობის კოლმეურნეობასთან. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას უკვე პრაქტიკულად შეუდგნენ. ამჟამად მათ წინაშე პირველი რიგის ამოცანა დგას — სანიმუშოდ მოემზადონ გაზაფხულის მინდვრის სამუშაოებისათვის და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩაატარონ ისინი.

ყველა სახის თესლი მომზადებულია. ნიადაგი საგაზაფხულო კულტურებისათვის ძირითადად შემოდგომით მოიხნა. ფართობების ნაწილში უკვე შეიტანეს ორგანული და მინერალური სასუქი. ზოგიერთ ფართობში სასუქებს თესვის წინაც შეიტანენ. ორგანული სასუქი შეაქვთ ბაღებსა და ვენახებში, მას თოვლზე შლიან, რაც საუკეთესო შედეგს იძლევა.

კოლმეურნეობას აქვს 18 ტრაქტორი, 6 კომბაინი, მისაბმელი ინვენტარი. 16 ტრაქტორი უკვე შეკეთდა, დანარჩენი ორი კი მალე გამოვა სახელოსნოდან. ახალგაზრდა მექანიზატორებმა შ. გაბარაევმა, თ. ჯავახიშვილმა, ი. თეთრევმა თვითონ შეაკეთეს თავიანთი აგრეგატები.

კოლმეურნეობის ბრიგადებს შორის მთელი ძალით გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ი. ჯავახიშვილის ბრიგადა ეჯიბრება ი. სიქტურაშვილის ბრიგადას. ორივე ბრიგადაში უკვე დამთავრდა მინდვრად სასუქების გატანა, შეკეთდა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი.

ატენელებს გადაწყვეტილი აქვთ ზნაურის რაიონში პირველობა არავის დაუთმონ.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

## საგარანტიო ტალონით

ცხაკაია. (საკ. კორ.). რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომლები ემზადებიან საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. პირველობს „საქსოფლტექნიკის" ადგილობრივი განყოფილების (დირექტორი დ. დემურია) კოლექტივი, რომელსაც მიკუთვნებული აქვს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკისა" და შესაბამისი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

გაწეული შრომის მაღალმა შეფასებამ ახალი საქმეებისათვის დარაზმა მექანიზატორები. გადამეტებით შესრულდა გასული წლის მეოთხე კვარტალის დავალება, იანვარში შეკეთდა 14 ტრაქტორი, ყველა მათგანმა მიიღო საგარანტიო ტალონი.

როგორც ყოველთვის, ენერგიულად შრომობენ ზეინკლები ა. ჭანტურია, ვ. ხურცია, ბ. მიშველია, ვ. ნორაკიძე, ხარატები ავ. ჩიმია, რ. ხურცია, მჭედელი ო. სახოკია, ელექტროშემდუღებლები ვ. მელაძე, შ. კინწურაშვილი და სხვები. ისინი რემონტის დღიურ დავალებებს 120-130 პროცენტით ასრულებენ.

## სანიმუშოდ მოვემზადოთ შრომითი ზაფხულისათვის

### ზაფხულის არდადეგების დროს მშენებლობასა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში სტუდენტთა და უფროსკლასელთა მასობრივი მონაწილეობის მომწყობი რესპუბლიკური მთავრობის კომისიის სხდომა

ამ დღეებში მიღებულ დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წინადადება ზაფხულის არდადეგების დროს მშენებლობასა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში სტუდენტთა და უფროსკლასელთა მასობრივი მონაწილეობის ორგანიზაციის შესახებ. ბიურომ აღნიშნა, რომ ამ პატრიოტული თაოსნობის განხორციელებას მარტო დიდი ეკონომიური ეფექტი კი არ ექნება, არამედ აგრეთვე საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალგაზრდობის მონაწილეობის, ქალიშვილებისა და ვაჟების შრომითი აღზრდის, მათი იდეური წრთობის ქმედითი ფორმა გახდება.

13 თებერვალს გაიმართა ბიუროს ამ დადგენილების შესაბამისად შექმნილი რესპუბლიკური მთავრობის კომისიის პირველი სხდომა. ამ კომისიის თავმჯდომარეა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ა. ნ. ჩურკინი.

სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, ილაპარაკეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ტექნიკუმებისა და უმაღლესი სასწავლებლების კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივას, აღინიშნა რომ მეტად საჭიროა ამ მოძრაობის სწორი ორგანიზაცია და მისი წარმართვა ისე, რომ იგი ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ჭეშმარიტი სკოლა გახდეს. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობა დიდ დახმარებას გაუწევს სახალხო მეურნეობას აომშენებლობითს შრომაში უშუალო მონაწილეობით, არამედ, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ზაფხულის არდადეგების დროს იგი ჩაებმება შრომაში, კარგ მუშურ წრთობას მიიღებს. ამიტომ ამ მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და ეს საკითხები ყოველმხრივ, დეტალურად უნდა მოვიფიქროთ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ საჭიროა უკვე უახლოეს ხანში საქართველოს სსრ მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებმა, „საქკოლმეურნმშენმა" და „საქსოფლტექნიკამ" წარმოადგინონ ცნობები, თუ რამდენი სტუდენტი და უფროსკლასელი დასჭირდებათ ამა თუ იმ ობიექტზე, როგორია სამუშაოთა მოცულობა და ხასიათი, რამდენად უზრუნველყოფილი არიან ობიექტები საჭირო მასალებით, საიდან და როდის უნდა მიიღონ ეს მასალები და სხვ.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ზაფხულში მუშაობის დროს ახალგაზრდობის საყოფაცხოვრებო პირობების ორგანიზაციას. მათს კვებას, სამედიცინო მომსახურებას. სხდომაზე ამ საკითხების გამო საგანგებო სჯა-ბაასი გაიმართა. ამისათვის პასუხს აგებენ არა მარტო ვაჭრობისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები და ცეკავშირის გამგეობა, არამედ აგრეთვე იმ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობა, რომელთა ობიექტებზე უნდა იმუშაოს ახალგაზრდობამ, აღინიშნა, რომ ახალგაზრდა მოხალისენი გაიგზავნებიან მხოლოდ იქ, სადაც მათ შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების ყველა საჭირო პირობას შეუქმნიან.

რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელებმა შეკრებილთ აღუთქვეს, რომ დროულად და რაციონალურად გადაწყვეტენ ყველა საკითხს, რომლებიც დაკავშირებულია დისლოკაციის ადგილამდე და უკან ახალგაზრდობის რაზმების გადაყვანასთან. საქართველოს პროფსაბჭო ახალგაზრდობის რაზმებისა და ბანაკების პირად შემადგენლობას გააცნობს უსაფრთხოების ტექნიკის წესებსა და შრომის კანონმდებლობის საფუძვლებს, ხოლო რესპუბლიკის განათლებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროები ახალგაზრდული რაზმების ხელმძღვანელებად დანიშნავენ უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების კომუნისტ პედაგოგ-მასწავლებლებს, რომლებსაც აქვთ ახალგაზრდული რაზმების ხელმძღვანელობის შესაბამისი გამოცდილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ე. ა. სეხნიაშვილი. (საქინფორმი).

## სსრ კავშირის მოსახლეობა

გამომცემლობა „სტატისტიკამ" გამოუშვა მეორე და მესამე ტომები შვიდტომიანი გამოცემისა „მოსახლეობის 1970 წლის სრულიად საკავშირო აღწერის შედეგები", რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო უშვებს.

პირველი ტომი, რომელიც შეიცავს მონაცემებს სსრ კავშირის მოსახლეობის რიცხოვნობისა და განლაგების შესახებ, გამოვიდა ამა წლის იანვარში. მეორეში ქვეყნდება მონაცემები მოსახლეობის სქესისა და ასაკის მიხედვით განაწილების, შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობის, დაქორწინებულთა რიცხვისა და ასი წლისა და უხნესი მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ.

მესამე ტომი შეიცავს მონაცემებს, რომლებიც ახასიათებენ სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მოსახლეობის განათლების დონეს, ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით მთელი მოსახლეობის განათლების დონეს, დასაქმებული მოსახლეობის განათლების დონეს.

(საკდესი).

## ფერადი გადაცემები ტალინიდან

ტალინის ტელეცენტრმა დაიწყო ფერადი პროგრამების რეგულარული გადაცემები. ფერად გადაცემათა სტუდია აღჭურვილია საბჭოური წარმოების აპარატურით. ვიდეოჩაწერა პირველად მოეწყობა ვიწრო შექცევად ფერად ფირზე, რომლის დამუშავების სიჩქარე გაცილებით მაღალია, ვიდრე ფართოსი.

ხუთწლედის დამლევს ტალინის მახლობლად მწყობრში ჩადგება 330 მეტრი სიმაღლის სატელევიზიო ანტენა. (საკდესი).

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. შ. ი. ჭანტურიძის საქართველოს სსრ დამზადების მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხანაგი შოთა ილარიონის-ძე ჭანტურიძე საქართველოს სსრ დამზადების მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1973 წლის 14 თებერვალი.

## ჩვენს დიად სამშობლოში

## ა. ნ. კოსიგინმა მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი გ. ფრიდერიხსი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა 14 თებერვალს კრემლში მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი გ. ფრიდერიხსი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეორე სესიაზე.

საუბრის დროს, რომელმაც ურთიერთგაგების სულისკვეთებით ჩაიარა, მხარეებმა განიხილეს უახლოეს წლებში სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების საკითხები. (საკდესი).

# პარტიული ქრონიკა

## როგორი უნდა იყოს პარტიული კრება?

საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი ქალაქის ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში პარტიული კრებებისა და ბიუროს სხდომების მოწვევის პრაქტიკის შესახებ.

ქალაქ ბათუმის პირველადი პარტიული ორგანიზაციები მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან პარტიული კრებების როლის ამაღლებისათვის, კრებებზე განიხილავენ და წყვეტენ პარტიული ორგანიზაციების ხაქმიანობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

ამასთან ერთად ბიურომ აღნიშნა ზოგიერთი ორგანიზაციის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები.

მსუბუქი ტაქსომოტორების, „აჭარწიგნვაჭრობისა“ და სხვა ორგანიზაციებში პარტიული კრებების მომზადებისა და საკითხების განხილვაში ხშირად ერთი და იგივე კომუნისტები მონაწილეობენ. იყო შემთხვევები, როცა კრებაზე მოხსენება ზერელედ იყო მომზადებული, ზოგჯერ მიღებული დადგენილებები არაკონკრეტული და დეკლარაციული ხასიათისაა.

ბიურომ დასახა ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

**მ. გორგილაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

## დისციპლინის საკითხი — რაიკომის ბიუროზე

მახარაძე, (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის ბიურომ ამ დღეებში განიხილა საკითხი საწარმო-დაწესებულებებში სახელმწიფო და შრომითი დისციპლინის განმტკიცების შესახებ. ბიუროზე აღინიშნა, რომ მთელ რიგ საწარმო-დაწესებულებებში ადგილი აქვს სამუშაო დროის გაცდენებს, სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების ფაქტებს. მაგალითად, შემოწმების დღეს „საქსოფლტექნიკის“ სარეალიზაციო ბაზაში 27 თანამშრომლიდან სამუშაოზე დიდი დაგვიანებით გამოცხადდა 7 კაცი, მათ შორის მ. კობალაძე, ე. წიტაიშვილი, ე. ცინცაძე, ნ. ზაქარიაძე და სხვ. სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების ფაქტები იყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში, „საქვაჭრობის“ მახარაძის განყოფილებაში და სხვა ორგანიზაციებში.

რაიკომის ბიურომ იმსჯელა ამ საკითხზე და დასახა ღონისძიებანი შრომის დისციპლინის განმტკიცების უზრუნველსაყოფად.

## მდივნების თათბირზე

ახალციხე. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში გაიმართა რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი.

მოხსენებით თემაზე — „სკკპ XXIV ყრილობა პირველადი პარტიული ორგანიზაციების შემდგომი განმტკიცებისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლების შესახებ“ — გამოვიდა საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის პირველი მდივანი ა. მექვაბიშვილი. პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე შ. გოგოლაძე თათბირის მონაწილეებს ესაუბრა პარტიული დოკუმენტების გამოცვლაში პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ.

*წარდგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად*

# ლენინი და საქართველო

### ქართველი მეცნიერის დამოწმებით




როგორც გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ზეიმისათვის — 1970 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ რუსულ ენაზე გამოსცა ცნობილი მკვლევარის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ვარლამ ესაიაშვილის ვრცელი მონოგრაფია „ვ. ი. ლენინი და საქართველო“. ეს წიგნი მოიცავს დიდი ბელადის საქართველოსთან ურთიერთობის ყველა სფეროს.

ამ წიგნმა უკვე დიდი ხანია მოიპოვა მკითხველთა ფართო წრეების საერთო აღიარება. ამ მონოგრაფიაზე დაყრდნობით და მის მიხედვით ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში მოეწყო ვრცელი გამოფენა: „ვ. ი. ლენინი და საქართველო“. ანალოგიური გამოფენები მოწყობილია რესპუბლიკის თითქმის ყველა მუზეუმში, კულტურისა და პოლიტიკური განათლების სახლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში. ამ მონოგრაფიის მიხედვით საზოგადოება „ცოდნამ“ გადაიღო ფილმი „ვ. ი. ლენინი და საქართველო“, რომლის ჩვენება საათსა და ოც წუთს გრძელდება.

ვ. ი. ლენინის ინსტიტუტის დაარსებასთან დაკავშირებით 1923 წლის 8 ივლისს ი. ბ. სტალინის ხელისმოწერით პრესაში გამოქვეყნდა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა, რომელშიც ვკითხულობთ: „რკპ(ბ) წევრებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ქაღალდის ყოველი პატარა ნაგლეჯი, რომელზეც ვ. ი. ლენინის ხელმოწერა ან მის მიერ გაკეთებული რაიმე ნიშანია, შესაძლოა დიდი შენაძენი გახდეს მსოფლიო რევოლუციის ბელადის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესწავლის საქმეში“. აი ამ მიმართვით ხელმძღვანელობდა ქართველი მეცნიერი ორი ათეული წლის მანძილზე, როცა ამ კაპიტალურ შრომას ქმნიდა. უნდა ითქვას, რომ მან წარმატებასაც მიაღწია. თემის დამუშავების უაღრესად მაღალი აკადემიური დონე, უამრავი ახალი, მეტად საინტერესო მასალისა და დოკუმენტის მიკვლევა-აღმოჩენა, მათი მეცნიერული ანალიზი და განზოგადება — აი მიზეზი, რის გამოც ცნობილი მეცნიერის ნაშრომს დიდი ხანია მკვლევარები იყენებენ, როგორც წყაროს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესასწავლად.

ამ მხრივ ახალ, დიდ საკავშირო აღიარებას წარმოადგენს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბიოგრაფიული ქრონიკის მეორე და მესამე ტომები, რომლებშიც პროფესორ ვარლამ ესაიაშვილის აღნიშნული მონოგრაფია 100-ჯერ არის დამოწმებული, როგორც პირველწყარო.

ეს გამოცემა, რომელსაც სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი ამზადებს და პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა სცემს მოსკოვში, წარმოადგენს ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიული ქრონიკის პირველ ფუნდამენტურ გამოცემას. იგი გამოდის 10 ტომად (ამჟამად გამოსულია მხოლოდ პირველი სამი ტომი) და მოიცავს დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა დეტალს. მასში ასახულია ვ. ი. ლენინის ცხოვრების თითქმის ყველა დღე და საათი.

ამ კაპიტალური გამოცემის ავტორებმა და დიდმა სარედაქციო კოლეგიამ ვ. ესაიაშვილის მონოგრაფია გამოიყენეს, როგორც პირველწყარო ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიის მთელი რიგი მომენტების დასადგენად.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გამოცემის მომდევნო ტომებშიც ასევე იქნება დამოწმებული ვ. ესაიაშვილის ნაშრომი, რადგან ეს გამოკვლევა, როგორც აღინიშნა, მოიცავს ვ. ი. ლენინის საქართველოსთან ურთიერთობის მთელ პერიოდს — დაწყებული 1898 წლიდან ბელადის გარდაცვალებამდე.

ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიული ქრონიკის ტომებში ვ. ესაიაშვილის წიგნის მრავალი დამოწმება კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მეცნიერის ამ გამოკვლევამ ფართო აღიარება ჰპოვა საკავშირო და, ამდენად მსოფლიო ლენინიანაში, რომ ამით რუსმა მკითხველმა ბევრი საინტერესო ფაქტი და მოვლენა გაიგო საქართველოსა და ქართველ რევოლუციონერებზე და იგი კიდევ უფრო მეტი სიმპათიით გაიმსჭვალა ჩვენი ხალხისა და ჩვენი ქვეყნისადმი, ჩვენი წარსულისა და აწმყოსადმი. ეს კი ღვაწლმოსილი მეცნიერის დიდი პატრიოტული მუშაობის ნაყოფია.

პროფ. ვ. ესაიაშვილის მონოგრაფია „ვ. ი. ლენინი და საქართველო“, რომელსაც დიდი თეორიულ-მეცნიერული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, სავსებით ღირსია იმისა, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭოს.

**ა. ირემაძე.**

*„კომუნისტის“ კრიტიკული გამოსვლის შემდეგ*

# ერთი დასახლების ავ-კარგი

### „კომუნისტს“ უპასუხებს თბილისის მშრომელთა დეპუტატე[ბის] საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილ[ი]

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნისტში“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული [იყო] გლდანის დასახლების კეთილმოუწყობლობის ფაქტები და მთე[ლი] რიგი სხვა ნაკლოვანებანი.

ამასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომ[ის] თავმჯდომარემ შ. ბუხრაშვილმა რედაქციას აცნობა, რომ წერილ[ში] აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. აღმასკომმა სპეციალურად [ამ] საკითხზე მიიღო გადაწყვეტილება.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილება[ს] № 44 კორპუსში გამოყო ოთახები პოლიკლინიკისა და აფთიაქ[ის] მოსაწყობად. ჯანმრთელობის განყოფილებას და სააფთიაქო სამმა[რ]თველოს დაევალათ დროულად მოაწყონ ეს ოთახები და გახსნ[ან] პოლიკლინიკის ფილიალი და აფთიაქი.

მთავართბილისმშენის სამშენებლო ორგანიზაციებს დაევალათ შ[ე]ნობები საექსპლოატაციოდ არ გადასცენ, თუ მთლიანად დამთავრ[ე]ბული არ იქნება კეთილმოწყობის ყველა სამუშაო, ხოლო „საქმო[ნ]ტაჟსპეცმშენის“, „პრომსვიაზმონტაჟის“ სამმართველოებს — გლდა[]ნის მასივში დროულად დაამთავრონ კავშირგაბმულობის სამუშ[ა]ოები.

ლენინის რაისაბჭოს აღმასკომს და ქალაქის საბჭოს აღმასკომ[ის] საბინაო სამმართველოს დაევალათ: გადაჭრით გააუმჯობესონ გლდ[ა]ნის მასივის საცხოვრებელი სახლების შენახვისა და ექსპლოატაცი[ის] საქმე, არ დაუშვან მობინადრეთა მიერ ბინებში თვითნებური გად[ა]კეთებანი, რაისაბჭოების შესაბამის აღმასკომებთან ერთად უზრუ[ნ]ველყონ ქალაქის რეკონსტრუქციისათვის გამოყოფილი დროებ[ით] შეუსახლებელი ბინების მოვლა-პატრონობა. ორი კვირის განმა[ვ]ლობაში გააკეთონ კორპუსებზე წარწერები გადიდებული შრიფტ[ით], დააყენონ დაფები მომსახურე ორგანიზაციების მისამართებისა [და] ტელეფონების ჩვენებით.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო განყოფილებას დაევა[ლა] მოკლე ვადაში უზრუნველყოს საექსპლოატაციოდ გადაცემულ სა[ხ]ლებში მობინადრეთა ერთდროული შესახლება, კეთილმოწყობის ს[ა]მმართველომ კი თებერვლის ბოლომდე შეაკეთოს თიანეთის გზატ[კე]ცილი. ლენინის რაისაბჭოს აღმასკომს და შინაგან საქმეთა სამმა[რ]თველოს დაევალათ გააძლიერონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვ[ი]სადმი ზედამხედველობა, მოაწყონ უბნის რწმუნებულის ოთახ[ი]. სამგზავრო ავტობუსების გაერთიანებამ უნდა უზრუნველყოს № [] მარშრუტის ნორმალური მუშაობა დილის 6 საათიდან. „თბილქა[]ლაქპროექტს“ დაევალა 20 მარტამდე გადასცეს დამკვეთს გლდან[ის] დასახლების რადიოფიცირების პროექტი, ამავე ვადებში განხორციე[]ლდეს ნიაღვრების წყლების კორექტირებული პროექტის შედგენა [და] დამკვეთისათვის გადაცემა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში სა[]თანადო ცვლილებების შეტანით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ბანკს ეთხოვა გლდანის მასივშ[ი] გახსნას შემნახველი სალარო.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, ვა[]ჭრობის და საზკვების სათანადო სამსახურებს დაევალათ ამ გად[ა]წყვეტილებების შესრულების მიმდინარეობაზე დააწესონ სისტემ[ა]ტური კონტროლი და მიმდინარე წლის მარტში საქალაქო საბჭო[ს] მოახსენონ შედეგები.

# მეცხოველეთა გასაჭირი

### როცა შეჯიბრება ფორმალურია

**1**

რუისის საბჭოთა მეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმას ვეწვიეთ. აქ 740 სულ პირუტყვს 48 კაცი და ქალი ემსახურება. ეს ქარელის რაიონში ერთ-ერთი დიდი ფერმაა. ამიტომ ვიფიქრეთ, რომ ფერმაში წინსვლა იქნებოდა, მაგრამ ასე არ არის, აქ ჩამორჩენაა. გვეგონა, რომ ახლა მაინც თვალსაჩინო ადგილზე იქნებოდა გამოკრული მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მუხლები, მოწინავე გამოცდილების ფურცლები, დიაგრამები, პლაკატები, ლოზუნგები, მოწინავეთა პორტრეტები, ფერმასთან არსებულ წითელ კუთხეში მაგიდაზე გაშლილი იქნებოდა დარგობრივი ჟურნალები, ახალი ჟურნალ-გაზეთები და სხვა დამხმარე ლიტერატურა — მოწინავე გამოცდილებისა და მეცხოველეობაში მეცნიერების მიღწევების შესახებ. სამწუხაროდ აქ მსგავსი ვერაფერი ვნახეთ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში გახუნებულ ლოზუნგებს, პირუტყვის ერთ-ერთ სადგომზე რომ იყო გაკრული.

სოციალისტური შეჯიბრების მუხლებში გათვალისწინებული უნდა იყოს მეცხოველეთა შრომის, ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებები. მაგრამ ეტყობა ეს ან გამორჩათ, ან შეგნებულად აუარეს გვერდი. თორემ სხვა რა შეიძლება ვიფიქროთ. ადამიანს განწყობილება შეეცვლება, როცა შეხედავს რუისის მეცხოველეობის ფერმის ეზოს. აქ ალაგ-ალაგ წუმპე დგას, მუხლამდე ტალახია.

ფერმაში მეცხოველეებს ერთი პატარა ოთახი აქვთ. ეს არის ფერმის გამგის სამუშაო ოთახიც, ბიბლიოთეკაც, სასადილოც, წითელი კუთხეც და სათათბიროც. ნუთუ დიდი დანაშაული იქნება, რომ 48 კაცისათვის, რომლებიც ამ ფერმას ემსახურებიან, გაკეთდეს ერთი ოთახი, სადაც ისადილებენ. ან რატომ არ უნდა იყოს ცხელი წყლის შხაპი?

სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობა, მისი საჯაროობა, როგორც ვიცით, დიდად არის დამოკიდებული მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაზე, აგიტატორებისა და ინფორმატორების აქტიურობაზე.

რუისელი მეცხოველეები ყოველივე ამას მოკლებული არიან. მეურნეობის ადმინისტრაცია შორს არის ფერმის მუშაკებისაგან. აგიტატორი ფერმაში იშვიათად გამოჩნდება. არავის შესტკივა გული და მეცხოველეებიც თვითდინებას მიჰყვებიან.

რუისის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმის მწველავი მერი ხანიშვილი ერთ-ერთ მოწინავედ ითვლებოდა არა მარტო საბჭოთა მეურნეობაში, არამედ რაიონშიც. ამ მწველავზე პარტიის რაიკომში გვითხრეს, იგი ახლაც წინ მიდისო. მაგრამ ადგილზე მისვლის შემდეგ გამოირკვა, რომ მერი ხანიშვილს რუსუდან ღვინაშვილმა გაასწრო. მერიმ მიმდინარე წლის იანვარში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 81 კილოგრამი რძე მიიღო, გასული წლის შესაბამის პერიოდში კი 197 კილოგრამი.

ეს ციფრები იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ადვილი შესამჩნევი გახდეს მოწინავე მწველავის ჩამორჩენა. მიზეზი? ჩვენც დავინტერესდით, მაგრამ მიზეზი ვერავინ გვითხრა. ამითაც ჩანს, რომ ამ მეურნეობაში მცირეოდენი ყურადღებაც არ ექცევა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შემოწმებას.

როგორც ვთქვით, სოცშეჯიბრებაში რუსუდან ღვინაშვილი დაწინაურდა, მაგრამ არც ის იციან, როგორ შეძლო ეს რუსუდანმა, რა მეთოდებით. ფერმაში არ მომხდარა ამ შემთხვევაში მოწინავე გამოცდილების განზოგადება. ამაზე აქ არავინ ზრუნავს.

მოწინავე მწველავად ითვლება აგრეთვე ციცინო მახარაშვილი. მან მიმდინარე წლის იანვარში თვითეულ ძროხაზე 176 კილოგრამი რძე მიიღო, გასული წლის შესაბამის პერიოდში კი — 145 კილოგრამი. რუსუდანისა და ციცინოს შრომითი საქმიანობა, მათი მოწინავე გამოცდილება ჯერაც არ განუზოგადებიათ. ვფიქრობთ, ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ წველადობის მიმდინარეობის ცხრილში, რომელიც რაიონულმა გაზეთმა გამოაქვეყნა, რუისელ მეცხოველეებს მიმდინარე წლის პირველი თებერვლის მდგომარეობით წველადობაში უარყოფითი მაჩვენებელი აქვთ. მიმდინარე წლის იანვარში ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 133 კილოგრამი რძე. გასული წლის შესაბამის პერიოდში კი ეს მაჩვენებელი 143 კილოგრამი იყო. საინტერესოა, აქედან თუ გააკეთეს სათანადო დასკვნები მეურნეობის დირექტორმა დ. ეკნატაშვილმა, პარტორგანიზაციის მდივანმა ა. ბალიაშვილმა და ადგილკომის თავმჯდომარემ შ. მექვაბიძემ?

**2**

დასამალავი არაფერია: რუისში რაც ვნახეთ, პირდაპირ დამაფიქრებელია. გზად თითქოს დაგვაიმედეს, ქარელის კოლმეურნეობის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმაში ამ ნაკლოვანებებს ვერ შეხვდებითო, მაგრამ როცა ფერმის ეზოში შევედით, იგივე მდგომარეობა დაგვხვდა, რაც რუისში.

რაც შეეხება სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, აქ თითქოს უკეთ არის საქმე. წითელ კუთხეში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული კოლმეურნეობის მეცხოველეთა ერთიანი ვალდებულებები, აქვეა ჩარჩოში მოთავსებული ცალ-ცალკე მწველავების ინდივიდუალური ვალდებულებები სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ. გარკვევით იკითხება მათი გვარებიც, თუ ვის იწვევენ შეჯიბრებაში.

ერთი კია, ამ ვალდებულებებში აღნიშნული არ არის სანიტარული მდგომარეობის დაცვა, და იქნებ ამიტომაც არის, რომ მწველავები ყოველივე ამას მოკლებული არიან. ამასთანავე ისინი ინფორმირებული არ არიან, რა ამოცანების წინაშე დგანან მიმდინარე სამეურნეო წელს. არავის გაუცვნია მათთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება 1972-1973 წლის ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის მეცხოველეობის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოცშეჯიბრების გაშლის შესახებ.

იქნებ ამიტომაც ქარელელ მეცხოველეებს მაინცდამაინც კარგი მაჩვენებლები ვერა აქვთ. აი ისინიც: მიმდინარე წლის იანვარში ერთ საფურაჟე ძროხაზე აქ 59 კილოგრამი რძე მიიღეს, გასული წლის იანვარში კი — 57 კილოგრამი. განსხვავება მხოლოდ ორი კილოგრამია. ამ განსხვავებით ამაყობენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ბრეგვაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. ტაბატაძე და ადგილკომის თავმჯდომარე ო. ხარატიშვილი.

ორი კილოგრამი რძე განა სატრაბახოა? ვფიქრობთ ეს განსხვავება უფრო მეტი იქნებოდა, კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას თავის დროზე რომ შეესწავლა მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა, თვითეული მწველავისათვის გაეცნოთ მისი რაობა და მხარში ამოსდგომოდნენ მეცხოველეებს. იქნებ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წველაში არ ჩამორჩებოდნენ ბაბუცა ქოზაევი, ნუგზარ მარღიშვილი, მიხეილ გაზაშვილი, ანეტო ზასუხაშვილი და ვარა მარღიშვილი.

გამოდის, რომ წითელ კუთხეში გამოკრული სოცშეჯიბრების ვალდებულებები ფორმალურ ხასიათს ატარებს. ამის შემდეგ ვერ ვიტყვით, რომ აქ ყოველმხრივ უწევენ პროპაგანდას წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილებას.

**3**

ქარელის კოლმეურნეობის მეცხოველეებს კიდევ რა უჭირთ! დიდოფლის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ი. გამგებელი, პარტორგანიზაციის მდივანი ზ. სამნიაშვილი), მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმა რომ ნახოთ, ალბათ თვალს არ დაუჯერებთ. ეზოში ანტისანიტარიაა, 40 სული პირუტყვი დაავადებულია ბრუცელოზით და მათ განცალკევებაზე არ ფიქრობენ. მწყემსებსა და მწველავებს მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ ჯერაც არა გაუგიათ რა. მათთან ამის შესახებ საუბარი არ გაუმართავთ.

არც მეცხოველეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე უფიქრიათ. ერთ პატარა ოთახში ხის ტახტი დგას, რომელზეც უსწორმასწორო დ ყრია ფარაჯა, ძველი ჯუბა და ვინ მოთვლის კიდევ რა. აქვე დგას თუნუქის ღუმელი და თვითნაკეთი სასადილო მაგიდა, იატაკს ხომ ალბათ ჯერაც ცოცხი არ მიჰკარებიათ.

ეს არის წითელი კუთხეო, გვითხრა ფერმის გამგის მოვალეობის შემსრულებელმა დ. ფუხაშვილმა.

ზემოთ ნათქვამი არ შეიძლება — არც გვიფიქრია — მთელ რაიონზე განვაზოგადოთ. იქნებ, რაიონის სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მაღალ დონეზეა მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია, მისი მიმდინარეობა და შემოწმება. ერთი კი უნდა შევნიშნოთ, რომ ამისათვის უფრო მეტი უნდა გააკეთონ რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

მეცხოველეთა სრულიად საკავშირო შეჯიბრების გაშლის შესახებ ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში იმსჯელა პარტიის ქარელის რაიკომის ბიურომ და დასახა სათანადო ღონისძიებანი, რომელთა შესრულება დაავალა **რაიონის პირველად პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო და სადაბო საბჭოების ხელმძღვანელებს, აგიტატორებს, რომ** გაეშალათ ფართო მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მაღალ დონეზე წარმართვისათვის.

როგორც ციფრები მეტყველებენ, გასულ წელს რაიონის მეცხოველეებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 10.113 ცენტნერი ხორცი ნაცვლად 7.420 ცენტნერისა, 16.876 ცენტნერი რძე ნაცვლად 14.800 ცენტნერისა. კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ აგრეთვე მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოებასა და დამზადების საქმეში. ეს ციფრები თავისთავად მეტყველებენ რაიონის მეცხოველეთა თავდადებულ შრომაზე და მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობაზე. მაგრამ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს მცირე წარმატება ვერაფერი ბედენაა.

**სოციალისტური შეჯიბრების სული და გული უნდა იყოს ადგილობრივი გაზეთი. მის ფურცლებზე უფრო მეტი უნდა იწერებოდეს სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეებზე, მათს მიღწევებზე, ნაკლოვანებებზე. უნდა ხდებოდეს მოწინავეთა გამოცდილების განზოგადება. ერთი სიტყვით, მეცხოველეთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების თემა გაზეთისათვის ნომერ პირველი თემა უნდა იყოს. ქარელის რაიონული გაზეთის ფურცლებზე კი ამას სათანადო ყურადღება არა აქვს დათმობილი.**

პარტიის ქარელის რაიკომი და რაიონული აღმასკომი უფრო კონკრეტულად და საქმიანად უნდა ხელმძღვანელობდნენ მეცხოველეთა სოციალისტურ შეჯიბრებას.

**რ. ბასილაშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# როცა აღრიცხვა არევდარეულია

### რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ნეფედოვი.

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი კრიტიკული წერილი სათა[უ]რით — „როცა აღრიცხვა არევდარეულია“ შეეხებოდა თბილის[ის] პატონის სახელობის ელექტროშემდუღებელი მოწყობილობის ქარ[ხ]ნის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

კრიტიკული წერილი განიხილა საქართველოს კომპარტიის თბი[]ლისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის ბიურომ. რედაქციაში გა[]მოგზავნილ პასუხში, რომელსაც ხელს აწერს პარტიის კიროვ[ის] რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნ. ნეფედოვი, აღნიშნულია, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

ელექტროშემდუღებელი მოწყობილობის ქარხანაში, — ნათქვამი[ა] პასუხში, — საკმაო ყურადღება არ ექცეოდა ეკონომიურ-საფინან[სო] სამსახურების მუშაობას, არადამაკმაყოფილებლად აწარმოებდნ[ენ] პირველადს აღრიცხვას, ნაკლოვანებები იყო სამეურნეო-ფინანსურ საქმიანობაში. ყოველივე ამან ქარხანა ძნელ პირობებში ჩააყენა.

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი ქა[]რხნის კოლექტივმა განიხილა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრე[]ბაზე და მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებები დასახა ნაკლო[]ვანებათა გამოსწორებისათვის. მიმდინარე წლის იანვრისათვის ძი[]რითადად დაიფარა სახელმწიფო დავალიანება და 934 ათასი მან[ე]თიდან 81 ათას მანეთამდე შემცირდა საკუთარი საბრუნავი ფონდე[]ბის გარღვევა. მოგვარდა ბუღალტერიის ანალიზური აღრიცხვა[.] გრძელდება მუშაობა წარმოების ორგანიზაციის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესებისათვის. ქარხნის პირველად[ი] პარტორგანიზაციის ახლადარჩეული ბიურო უკეთ იბრძვის სამეურ[]ნეო საქმიანობის საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტად.

მაგრამ ყოველივე ეს ჯერჯერობით მაინც არ არის საკმარისი. ამიტომ პარტიის რაიკომის ბიურომ დაავალა ქარხნის ხელმძღვანე[]ლობას უფრო ქმედითი ზომები მიიღოს საწარმოს ტექნიკური, ეკო[]ნომიური და ფინანსური სამსახურების მუშაობის ძირეულად გარ[]დაქმნისათვის, ამ სამსახურებში მიიზიდოს და დაამაგროს კვალი[]ფიციური კადრები, მოაგვაროს და სათანადო სიმაღლეზე აიყვანო[ს] საამქროებსა და უბნებში პირველადი აღრიცხვა, მკაცრი კონტროლ[ი] დააწესოს მასალების შემოტანასა და გამოყენებაზე.

შემოიღოს დოკუმენტური რევიზიების, საწყობების საამქროების, უბნების მოულოდნელი შემოწმების პრაქტიკა. შედეგები განიხილო[ს] თათბირებზე, საამქროთა კრებებზე საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით.

დაევალოს პარტიულ ორგანიზაციას: დარაზმოს თვითეული კომუნისტი, ქარხნის კოლექტივი 1973 წლის სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების უთუო განაღდებისათვის; ქარხნის პროფკავშირის კომიტეტთან ერთად გააუმჯობესოს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობა, რეგულარულად შეაჯამოს მისი შედეგები. პრაქტიკაში შემოიღოს განყოფილებათა, სამსახურების ხელმძღვანელთა ანგარიშების მოსმენა პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე.

რაიკომის ბიურო 1973 წლის ივლისში მოისმენს ქარხნის დირექტორის ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

# მანქანაც ასწავლის

**„სისტემატურად განახლდეს ყველა სასწავლო დისციპლინის შინაარსი. აქტიურად დაინერგოს სტუდენტთა სწავლების ახალი, პროგრამირებული მეთოდები ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით, ყოველმხრივ განვითარდეს ცოდნის ათვისების შემოქმედებითი ფორმები“.**

(სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან).

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონემ მრავალი აქტუალური საკითხი დააყენა უმაღლესი სკოლის წინაშე. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ამას წინათ მოწყობილ უმაღლესი სასწავლებლების მუშაკთა საკავშირო თათბირებზე ამ საკითხზეც ბევრი რამ ითქვა. სწავლების ზოგიერთი მოძველებული ფორმა და მეთოდი ახლით შეიცვალა. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სასწავლო ნაწილთან ოთხი წლის წინათ რექტორატის ინიციატივით ჩამოყალიბდა პროგრამირებული სწავლების ლაბორატორია, რომელიც შემდგომში „სწავლების პროცესის მეცნიერული ორგანიზაციის“ ლაბორატორიად გადაკეთდა.

ლაბორატორიაში შეიქმნა სამეცნიერო-მეთოდური, სწავლების ტექნიკურ საშუალებათა და ფოტო-კინო-კაბინეტები, რომლებიც ძირითადად ახალგაზრდა კადრებით დაკომპლექტდა.

ლაბორატორია მუშაობს შემდეგი მიმართულებებით: შრომის მეცნიერული ორგანიზაცია სასწავლო პროცესში (სწავლების ახალი ფორმები და მეთოდები, პროგრამირებული სწავლება, სტანდარტიზებული კონტროლი და სხვ.), აუდიტორიებისა და კაბინეტების აღჭურვა ტექნიკური საშუალებებით (რადიო-კინოფიცირებული და ავტომატიზებული აუდიტორიები, მაკონტროლებელ-მსწავლებელი მანქანები); ინსტიტუტის საინფორმაციო მომსახურება (სადისპეტჩერო სამსახურის ავტომატიზაცია, ინსტიტუტის რადიო-ტელე-კინოფიკაცია და სხვ.).

ლაბორატორიაში შეიქმნა ტექნიკური ბაზა — მოეწყო მექანიკური სახელოსნო ლითონისა და ხის დამამუშავებელი დაზგა-დანადგარებით. მოეწყო რადიოაპარატურის სამონტაჟო უბანი, ვიწრო და ფართო ფორმატიანი აპარატურით. დაკომპლექტდა ფოტო-კინო-კაბინეტი.

ლაბორატორიაში შეიქმნა ახალი ტექნიკა: მაკონტროლებელ-მსწავლებელი მანქანები „ნაკადული-1“, „ნაკადული-2“, ცოდნის მაკონტროლებელი მოწყობილობა „დილომი-1“, ელექტროტაბლო — ინფორმატორი „მზიური“, ელექტროტაბლო „ორიენტირი“ და სხვ.

აღნიშნული მაკონტროლებელ-მსწავლებელი მანქანები ნაწილობრივ ადაპტურ-მსწავლებელ მანქანათა კლასს მიეკუთვნებიან. მათში წარმოდგენილია შედარების, უკუკავშირის, რეგისტრირებისა და გამოთვლის ტექნიკური გამართულობანი. მათი გამოყენება შეიძლება სტუდენტთა ლაბორატორიულ სამუშაოებზე დაშვებისას, ნამუშევრებზე ჩათვლების მიღებისას, ლექციებზე მოსმენილი საკითხების ძირითადი დებულებების დასწავლისა და განმტკიცების მიზნით. აგრეთვე ინდივიდუალური სწავლების თვითკონტროლის, მიმდინარე კონტროლისა და გამოცდების პროცესში ნებისმიერი საგნის — მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, უცხო ენისა და სხვათა შესწავლისას.

„ნაკადულ-1“-ის შექმნასთან დაკავშირებით მიღებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული აღმოჩენებისა და გამოგონებების საქმეთა კომიტეტის დადებითი გადაწყვეტილება, ხოლო „ნაკადულ-2“-მა საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პრემია და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ელექტროტაბლო ინფორმატორი „მზიური“ სადისპეტჩერო სამსახურის ოპერატიული საინფორმაციო მომსახურების ავტომატიზაციის ერთ-ერთი ნაწილია. სხვადასხვა ფერით განათებული სარკმლები ლექტორს თავისუფალი და დაკავებული აუდიტორიების სწრაფად დადგენის საშუალებას აძლევს. ამოირჩევს რა თავისთვის სასურველ თავისუფალ აუდიტორიას, პულტის დახმარებით, დროებით იკავებს მას. ორი აკადემიური საათის განმავლობაში სარკმელი დროებით დაკავებას უჩვენებს, შემდეგ კი ავტომატურად მოიხსნება.

ელექტროტაბლო „ორიენტირი“ წარმოადგენს ინსტიტუტის შენობის გეგმას ზუსტი პროპორციების დაცვით, გადამრთველების საშუალებით იკრიფება სასურველი აუდიტორიის ნომერი და ღილაკზე ხელის დაჭერით ტაბლოზე აციმციმდება ნათურა, რომელიც კორპუსში აუდიტორიის მდებარეობას უჩვენებს.

აღნიშნული ტექნიკის ეფექტიანობაზე მიღებულია მთელი რიგი დადებითი დასკვნები მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის, ტაშკენტის, სარატოვის, კიშინიოვის, ორენბურგის, ყუბანის სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებიდან, ხოლო მინსკის, სამარყანდის, მელიტოპოლის, ფრუნზეს, ხერსონის, ბლაგოვეშჩენსკის, ომსკის, კურსკის და სხვა ქალაქების უმაღლესი სასწავლებლებიდან მიღებულია დაკვეთები მათ შესაძენად.

ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ ტექნიკური საშუალებებით აღიჭურვა 175-ადგილიანი სალექციო აუდიტორია. აქ დამონტაჟდა ეპი-დია-კინოფილმების სადემონსტრაციო აპარატურა, დამონტაჟდა ხმის ჩამწერი და მოსასმენი საშუალებები. შესაძლოა სინქრონული თარგმნა სამ ენაზე. ყველა პროცესი ავტომატიზებულია და მართვის პულტიდან წარმოებს. ამ აუდიტორიაში ჩვეულებრივი სალექციო მუშაობის გარდა შესაძლებელია მეცნიერების ამა თუ იმ დარგში რესპუბლიკური და საკავშირო სიმპოზიუმების მოწყობა. ზემოთ აღნიშნული აუდიტორიის მსგავსად აღიჭურვა 75-ადგილიანი ფიზიკისა და 100-ადგილიანი № 351 აუდიტორიები.

ბგერითი და მხედველობითი ტექნიკით აღიჭურვა ლინგოფონის კაბინეტი. აქ სტუდენტებისათვის 16 ადგილია განკუთვნილი. ყველა მათგანს საშუალება აქვს ისარგებლოს საყურისით და 6 პროგრამიდან, პედაგოგის შეხედულებისამებრ, მოისმინოს ნებისმიერი. კაბინეტი დაკავშირებულია სააპარატოსთან, რომელშიც განლაგებულია მაგნიტოფონები და თვითდამკვრელები, ფონოტეკა-მაგნიტური ჩანაწერებითა და გრამფირფიტებით. კაბინეტსა და სააპარატოს შორის ორმხრივი რადიოკავშირია დამყარებული.

ლაბორანტი, პედაგოგის მითითებით, რთავს საჭირო ჩანაწერებს. პედაგოგის მაგიდაზე დამონტაჟებულია მართვის პულტი, რომლის საშუალებითაც იგი მართავს კაბინეტში არსებულ მთელ ბგერით და მხედველობით ტექნიკას. პედაგოგს შეუძლია მიკროფონის საშუალებით დაუკავშირდეს ნებისმიერ მაგიდას, რათა სტუდენტს მისცეს გარკვეული მითითება. ლინგოფონის კაბინეტში ინსტიტუტის სტუდენტები და ასპირანტები ეუფლებიან უცხო ენებს. გარდა ამისა, აქ რუსულ ენას სწავლობენ უცხოელი ასპირანტებიც (ეგვიპტელები, ვიეტნამელები და სხვ.), რომლებიც ჩვენთან ეუფლებიან სოფლის მეურნეობის მეცნიერებას.

ლაბორატორიაში შეიქმნა დიაფოტო-კინომასალები სხვადასხვა საგნებში. დამზადდა 320 დიაპოზიტივი, დაიბეჭდა სტუდენტთა ინდივიდუალური მუშაობისა და სასწავლო გეგმების 2500 გრაფიკი, ორი ალბომი 100 ფოტოსურათით, 54 ფერადი დიაპოზიტივი და ორი დიაფილმი. ინსტიტუტის კათედრების მოთხოვნების მიხედვით ნაჩვენები იქნა 960 დიაფილმი. 9200 დიაპოზიტივი, 400 სასწავლო ფილმი. ლაბორატორიის ბაზაზე ეფექტურად მიმდინარეობს მანქანური კონტროლი მათემატიკაში, ელექტროტექნიკაში და სხვ.

ლაბორატორიის თანამშრომლები ნაყოფიერ სამეცნიერო-მეთოდურ მუშაობას ეწევიან პროგრამირებულ სწავლებას და სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების სფეროში. გამოიცა 25 სამეცნიერო-მეთოდური შრომა, შეიქმნა 6 გამოგონება, რომლებზეც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული აღმოჩენებისა და გამოგონებების საქმეთა კომიტეტიდან მიღებულია პრიორიტეტის ცნობები. ლაბორატორიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებზე პრაღაში, რიგაში, მინსკში, ფრუნზეში, მახაჩყალაში, ელგავაში და სხვ. სადაც წაკითხულ იქნა 15 მოხსენება, აქედან 12 მოხსენების თეზისები დაიბეჭდა სათანადო კრებულებში.

ლაბორატორიის დაარსებიდან დღემდე განვლილი დრო არსებითად საორგანიზაციო პერიოდი იყო. ამჟამად სულ უფრო ფართოდ იშლება მუშაობა ტექნიკური საშუალებებისა და პროგრამირებული სწავლების პრაქტიკაში დანერგვის მიმართულებით. იმედია, ლაბორატორიის ახალგაზრდა კოლექტივი წარმატებით გადაჭრის მომავლის გეგმაში გათვალისწინებულ საკითხებს.

**კ. გორდეზიანი.**
საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სწავლების პროცესის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიის გამგე, დოცენტი.

**ვ. ქისტაური.**
ინსტიტუტის მრავალტირაჟიანი გაზეთის „საბჭოთა აგრონომის“ რედაქციის მუშაკი.



**სურათზე:** ლაბორატორიის თანამშრომლები (მარცხნიდან მარჯვნივ) — რ. ლეკიშვილი, მ. ადეიშვილი, შ. ბაბუნაშვილი, ა. კერვალიშვილი, ზ. შვანგირაძე და გ. ხუბეროვი მუშაობენ მსწავლებელ-მაკონტროლებელი მანქანის „დილომი-1“-ის მახსოვრობის ბლოკის მონტაჟზე.

ვ. ქისტაურის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიო დღეს

ბრიუსელი

## ურთიერთხელსაყრელ საფუძველზე

14 თებერვალი. საქდესის კორესპონდენტი ა. ზვანცოვი გვატყობინებს: მატულობს ბელგიის იმ კომპანიების რიცხვი, რომლებიც შეთანხმებებს დებენ საბჭოთა კავშირთან სსრ კავშირში სხვადასხვა კომპლექსური მოწყობილობის, აგრეთვე სხვადასხვაგვარი მზა პროდუქციის მიწოდების შესახებ.

ამ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის მოცულობა წინა წელთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა და თითქმის 10 მილიარდ ბელგიურ ფრანკს მიაღწია.

ამ ბოლო ხანს საგრძნობლად გააფართოვეს კონტაქტები საბჭოთა გაერთიანებებთან ისეთმა ფირმებმა, როგორიცაა „სიდმარი", „შიმიმეტალი", „ენო-სამბრი", რომლებისგანაც საბჭოთა კავშირი ყიდულობს ლითონსა და სხვა ლითონპროდუქციას. ამავე დროს ეს ფირმები ყიდულობენ საბჭოურ მანქანა-მოწყობილობას.

ევროპაში დამკვიდრებული დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის კურსი, რომლის ინიციატორადაც ყოველთვის გამოდიოდნენ სსრ კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, აიძულებენ ბელგიის საქმიანი წრეების წარმომადგენლებს ეძებონ გაცვლის ახალი გზები, რაც ხელსაყრელია ორივე მხარისათვის.

სულ უფრო იხვეჭს სახელს ბელგიაში საბჭოთა მრეწველობის ნაწარმი, წლითიწლობით მატულობს იმ საქონლის ასორტიმენტი, რომელიც ბელგიის ბაზარზე მიდის სსრ კავშირიდან.

ჰანოი

## მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის მიღწევისათვის

14 თებერვალი. (საქდესის სპეც. კორ.). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლებულ რაიონებში მასობრივი მიტინგები გაიმართა განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის იმ მიმართვის მხარდასაჭერად, რომელიც გამოაქვეყნეს ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებით.

როგორც განთავისუფლების პრესის სააგენტო იუწყება, რატზიის პროვინციაში მიტინგს დაესწრნენ სხვადასხვა პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაციის 10 ათასზე მეტი წარმომადგენელი, აგრეთვე იმ რაიონების მცხოვრებლები, რომლებსაც კონტროლს უწევს საიგონის ადმინისტრაცია.

კიენფონგის პროვინციაში ვიეტნამის ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ პირველი ოთხი დღის მანძილზე, განთავისუფლების პრესის სააგენტოს მონაცემებით, გაიმართა 400-ზე მეტი მასობრივი მიტინგი, რომლებზეც მოსახლეობა მიესალმა ამ შეთანხმებას და მხურვალედ დაუჭირა მხარი განთავისუფლების ეროვნულ ფრონტსა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებით რევოლუციურ მთავრობას.

მიტინგების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეაკავშირონ რიგები, მაღლა ატარონ მშვიდობის, ეროვნული თანხმობის დროშა და მოსთხოვონ საიგონის ადმინისტრაციას შეთანხმების განუხრელად შესრულება.

სამხრეთ ვიეტნამის ამბების განვითარება გვიჩვენებს, რომ ხალხის ამ მოთხოვნას არ ასრულებს საიგონის ადმინისტრაცია, რომელიც კვლავ არღვევს პარიზში ხელმოწერილ შეთანხმებას.

განთავისუფლების პრესის სააგენტოს მოჰყავს ახალი მონაცემები საიგონის ადმინისტრაციის ძხრივ შეთანხმების საბოტაჟის აქტების შესახებ და ხაზს უსვამს, რომ სამხრეთვიეტნამელი ხალხი სულითა და გულით მიესალმება განთავისუფლების ეროვნული ფრონტისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის სამართლიან პოზიციასა და კეთილ ნებას და გულისწყრომით გმობს საიგონის ხელისუფალთა მოქმედებასა და მანევრებს.

განთავისუფლების სააგენტო აგრეთვე აღნიშნავს, რომ საიგონის ადმინისტრაცია უმალავს თავის ჯარისკაცებს ხელმოწერილი შეთანხმების არსს, მაგრამ სიმართლე თანდათანობით აღწევს ჯარისკაცებამდე.

მაგალითად, კუანგდის პროვინციის დიენბანის რაიონში საიგონის მესამე დივიზიის მესამე ბატალიონის ბევრმა ჯარისკაცმა უარი თქვა სამხედრო ბრძანებების შესრულებაზე და იარაღიანად გადავიდა ხალხის მხარეზე. ასეთივე შემთხვევები აღინიშნა მთელ რიგ სხვა პროვინციებში, მაგალითად კუანგნამში.

ამ პროვინციაში საიგონის ზოგიერთი ნაწილის ოფიცრებმა კავშირი დაამყარეს განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წარმომადგენლებთან, რათა მიიღონ ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმების ტექსტი. ზოგან, კერძოდ თხიათხიენის პროვინციის ფონგდიენის რაიონში, შექმნილია შეთანხმების შესრულებისათვის, მშვიდობისა და ეროვნული თანხმობის განხორციელებისათვის „ბრძოლის კომიტეტები".

ვიენტიანი

## შეთანხმება შესაძლებელია

14 თებერვალი. (საქდესი). გაიმართა ლაოსის პატრიოტული ძალებისა და ვიენტიანის მხარის წარმომადგენელთა მორიგი, მე-18 შეხვედრა მოლაპარაკებაზე ლაოსის პრობლემის მოწესრიგების შესახებ.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ ჟურნალისტთა წინაშე გამოსვლისას ლაოსის პატრიოტული ფრონტის დელეგაციის წარმომადგენელმა სოტ ფეტრასიმ აღნიშნა, რომ სხდომამ საქმიან ატმოსფეროში ჩაიარა. მან თქვა, რომ მხარეები დაადგნენ ერთიან აზრს ცეცხლის შეწყვეტასთან და ქვეყნის მდგომარეობის პოლიტიკურ მოწესრიგებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებზე. სოტ ფეტრასიმ თქვა, რომ ლაოსის მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა შეიძლება მალე რეალობად იქცეს.

დღესვე ლაოსის დედაქალაქში პრემიერ-მინისტრი პრინცი სუვანა ფუმა შეხვდა ლაოსის პატრიოტული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ფუმი ვონგვიტიტს. ამ შეხვედრაზე განიხილეს აგრეთვე ლაოსის პრობლემის მოწესრიგებასთან დაკავშირებული საკითხები.

## სავალუტო კრიზისი გრძელდება

ბრიუსელი. 14 თებერვალი. საქდესის კორესპონდენტი ა. ზვანცოვი გვატყობინებს: დღეს რადიოთი გამოვიდა ცნობილი ბელგიელი ეკონომისტი პროფესორი ლევი, რომელმაც განაცხადა, რომ „დოლარის ოქროს პარიტეტის შეცვლა ვერ სპობს კრიზისს და ვერ აღმოფხვრის ყველა საჭირბოროტო პრობლემას. ამერიკის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი კვლავ ძალიან დიდია, და დოლარი კვლავინდებურად შეუქცევადია ოქროდ". ლევის აზრით „ახლანდელი ფინანსური კრიზისი უკანასკნელი არ არის".

სავალუტო ქარიშხალი, რომელიც დასავლეთის ქვეყნებს მოედო, ბელგიის მთელი პრესის ძირითადი თემა გახდა. სავალუტო კრიზისის განვითარების ამბებით იწყება რადიოსა და ტელევიზიის უკანასკნელ ცნობათა გამოშვებები.

როგორც წერს „ეკო დე ლა ბურსი", რომელიც ქვეყნის საფინანსო და სამრეწველო წრეების ინტერესებს გამოხატავს, ახლანდელი მდგომარეობა გაცილებით სერიოზულია, ვიდრე 13 თვის წინათ იყო, როცა ვაშინგტონმა მოახდინა დოლარის დევალვაცია. გაზეთი აღნიშნავს, რომ „დადგა დასავლეთის მთელი საფინანსო სისტემის გადასინჯვის დრო".

ეს სისტემა გააკრიტიკა ბელგიის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვ. დე კლერკმა. „სანამ ეს სისტემა დოლარს ეყრდნობა, მისი პერიოდული ციებ-ცხელება გარდუვალია", — თქვა მან.

„საერთო ბაზრის" წრეებში არ მალავენ, რომ ევროპის სოლიდარობა, რაზეც ასე ბევრს ლაპარაკობდნენ ბრიუსელში „ცხრათა" წარმომადგენლები, ვერა და ვერ გამოვლინდა გამწვავებული ფინანსური კრიზისის პირობებში.

პარიზი. 14 თებერვალი. საქდესის კორესპონდენტი ვ. იორდანსკი გვატყობინებს: პარიზში დილაადრიან შეიტყვეს, რომ უკანასკნელი 14 თვის მანძილზე ვაშინგტონმა უკვე მეორედ მოახდინა დოლარის დევალვაცია. საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა ბ. ჟისკარ დ' ესტენმა დაუყოვნებლივ გააკეთა განცხადება, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთი მუდამ მხარს უჭერდა დოლარის დევალვაციას. მან თქვა აგრეთვე, რომ ახლანდელი სავალუტო კრიზისის მიზეზი იყო შეერთებული შტატების საგადამხდელო ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი.

ამასთანავე ვაშინგტონის გადაწყვეტილების გამო უკვე პირველ კონტაქტებში გამოსჭვივის გარკვეული შეშფოთება. პარიზში კარგად ესმით, რომ დოლარის დევალვაციის უკან იმალება ამერიკის სამრეწველო და სავაჭრო წრეების ვარაუდები მკვეთრად გაადიდონ ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტის მოცულობა და ამავე დროს შეზღუდონ დასავლეთ ევროპისა და იაპონიის საქონლის შეტანა ამერიკის ბაზრებზე.

ამასთან დაკავშირებით ფრანს პრესის სააგენტო აღნიშნავს, რომ საქონლის ყველა ნაკადი შეიცვლება. საფრანგეთის ევროპელი პარტნიორები ნაკლებად გაიტანენ საქონელს ამერიკის შეერთებულ შტატებში და შეეცდებიან განავითარონ ვაჭრობა მეზობელ ქვეყნებთან.

არანაკლებ მკაფიოდ ვლინდება აგრეთვე საფრთხე, რომ იაპონია კიდევ უფრო სერიოზულად შეუტევს დასავლეთ ევროპის ბაზრებს.

ფრანგ სპეციალისტთა აზრით, იენის კურსი დოლარის მიმართ 15-20 პროცენტით გაიზრდება, რაც შესამჩნევად შეამცირებს იაპონური საქონლის კონკურენციის უნარს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასეთ პირობებში პარიზში მოელიან, რომ იაპონია შეეცდება განამტკიცოს თავისი სავაჭრო პოზიციები დასავლეთ ევროპაში, სადაც მან უკვე მიაღწია დიდ წარმატებებს ოპტიკის, რადიოტექნიკის, ავტომობილების გასაღებაში. იაპონიის კონკურენცია ხომალდმშენებლობის დარგში დიდი ხანია აწუხებთ დასავლეთევროპელ გემთმშენებლებს.

დასავლეთ ევროპის ვაჭრობის ორიენტაციის მოსალოდნელი შეცვლა, ამერიკის ექსპორტის გაფართოების პერსპექტივები და პროგნოზები იაპონიის პოზიციის მიმართ ალბათ მკვეთრად გაამწვავებს სავაჭრო წინააღმდეგობებს კაპიტალისტურ სამყაროში. ამასთანავე, ვაშინგტონის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი ითვალისწინებენ დასავლეთ ევროპაში ამერიკული კაპიტალის გატანის შემდგომ გაფართოებას.

ამრიგად ამერიკის შეერთებული შტატები არათუ უარს არ ამბობს თავისი დასავლეთევროპელი პარტნიორების მიმართ დოლარით შანტაჟის პოლიტიკაზე, არამედ, პირიქით, აშკარად იმუქრება, რომ გაუფასურებული დოლარი ახალი ტალღით წალეკავს დასავლეთ ევროპას.

რომი. 14 თებერვალი. საქდესის კორესპონდენტი ი. ლოპატინი გვატყობინებს: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურმა დესპანმა პ. პიტერსონმა, რომელიც აქ ჩამოვიდა, დღეს დაიწყო მოლაპარაკება იტალიის მთავრობის მეთაურთან ჯ. ანდრეოტისთან და ხაზინის მინისტრთან ჯ. მალაგოდისთან. საუბრების ცენტრშია კაპიტალისტური ქვეყნების სავალუტო კრიზისი და შეერთებული შტატებისა და იტალიის სავაჭრო ურთიერთობაში საბაჟო ტარიფების პრობლემა.

პიტერსონის ვიზიტი რომში დაემთხვა ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცხადებულ დოლარის დევალვაციას, რამაც ახლანდელ მოლაპარაკებას, რომელიც ისედაც დრამატულ ვითარებაში იხსნება, უფრო მწვავე ხასიათი მიანიჭა. დოლარის დევალვაცია იტალია-ამერიკის ვაჭრობის თვალსაზრისით ნიშნავს იტალიური ლირის პრაქტიკულ რევალვაციას.

ადგილობრივი პრესა, მისი ის ნაწილიც კი, რომელსაც ჩვეულებრივ ყველა საკითხში პროამერიკული პოზიციები უკავია, ამჯერად აშკარად აკრიტიკებს ვაშინგტონის საფინანსო პოლიტიკას და ბრალად სდებს მას შეერთებული შტატების ეკონომიური სიძნელეების მოწესრიგებისადმი მისწრაფებას დასავლეთევროპელი პარტნიორებისა და იაპონიის ხარჯზე. ამერიკის შეერთებული შტატები, ჩივის, მაგალითად, იტალიის უდიდესი ბურჟუაზიული გაზეთი „კორიერე დელა სერა", საკუთარი კრიზისის ექსპორტს ეწევა და მძიმე მდგომარეობაში აყენებს თავის მოკავშირეებს".

იტალიის მთავრობის წრეებთან დაახლოებული გაზეთის „მესაჯეროს" თქმით, კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიკა „აღმოჩნდა დენთის კასრზე, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება აფეთქდეს", და პასუხისმგებლობა ამისათვის ეკისრება შეერთებულ შტატებს, რომელიც ცდილობს დასავლეთ ევროპასა და იაპონიას „აანაზღაურებინოს ვალუტის კრიზისისა და დოლარის სისუსტის შედეგები".

ვალუტის ბაზრები იტალიაში დახურულია და ვალუტების გაცვლა შეწყდა. ამერიკული დოლარის დევალვაციაზე საპასუხო ღონისძიებად იტალიის მთავრობამ გადაწყვიტა შემოიღოს ლირის თავისუფლად მერყევი კურსი. ეს დღეს გამოაცხადა ხაზინის მინისტრმა ჯ. მალაგოდიმ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამით იტალია ცდილობს, რამდენადაც შეუძლია, დაიცვას თავისი ვალუტა სპეკულაციური მაქინაციებისაგან, ხოლო ქვეყნის ეკონომიკა — გარედან დამღუპველი ზემოქმედებისაგან.

ვაშინგტონი. 14 თებერვალი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა გუშინ განაცხადა, რომ დოლარის დევალვაცია, რაც ამერიკის მთავრობამ მოახდინა, „დროებითი გადაწყვეტაა", რასაც „უნდა მოჰყვეს კანონმდებლობა ვაჭრობის დარგში".

ამ კანონმდებლობის მიზანი ის არის, თქვა პრეზიდენტმა, რომ „აიძულოს სხვა ქვეყნები უარი თქვან დისკრიმინაციულ პოლიტიკაზე" ამერიკის შეერთებულ შტატებთან სავაჭრო ურთიერთობაში.

როგორც ბევრი მეთვალყურე აღნიშნავს, ამით ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა აღიარა, რომ დოლარის დევალვაცია და გათვალისწინებული კანონმდებლობა მიმართულია ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო პარტნიორთა წინააღმდეგ და გაგრძელებაა ცალმხრივ ღონისძიებათა პოლიტიკისა ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური ინტერესების დასაცავად. როგორც ცნობილია ამ პოლიტიკამ უკვე მკვეთრად გაამწვავა ვაშინგტონის ურთიერთობა თავის პარტნიორებთან.

□ დოლარი დევალვირებულია □ ახალი საფრთხე □ იტალია შეშფოთებულია □ რ. ნიქსონის განცხადება

ოტავა

## ამერიკელები კანადაში: „არ გვსურს დაბრუნება..."

14 თებერვალი. (საქდესი). ბევრ ამერიკელს, რომლებმაც უარი თქვეს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომში მონაწილეობაზე და გაიქცნენ კანადაში, არ სურს ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნება, თუნდაც მათ ამნისტიას შეპირდნენ, იუწყება გაზეთი „ოტავა სიტიზენი".

ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგეთა დახმარების მონრეალის საბჭოს წევრმა ჰერი დევისმა ქალაქ ვირჯინია ბიჩიდან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰგონიათ, თითქოს ისინი, ვინც თავი აარიდა ჯარში გაწვევას ან არმია მიატოვა, ახლა ამერიკა-კანადის საზღვარზე იდგნენ და გულისფანცქალით ელოდნენ სიგნალს, რომ შინ გამოიქცნენ. პირიქით, ომის მოწინააღმდეგე ამერიკელთა უმრავლესობას გადაწყვეტილი აქვს კანადაში დარჩენა.

გაზეთი იუწყება, რომ ამჟამად კანადაში ასი ათასამდე ამერიკელია, რომლებმაც უარი თქვეს ებრძოლათ ვიეტნამში და აქ ჩამოვიდნენ ძირითადად სამოციან წლებში. ბევრმა მათგანმა გადაწყვიტა აქ დარჩეს სამუდამოდ და სთხოვა ადგილობრივ ხელისუფლებს კანადის მოქალაქეობის მინიჭება.

შესაძლო ამნისტიის ხსენებაც კი, წერს გაზეთი, ამ ამერიკელთა უმრავლესობას ბრაზს გვრის. „ჩვენ სრულიადაც არ ვთვლით თავს დამნაშავედ, რომ არ მოვისურვეთ უსამართლო ომში მონაწილეობა, — ამბობენ ისინი. — ჩვენ გვჭირდება არა ამნისტია, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქალაქეობრივი უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენა".

მაგალითად, 26 წლის კალიფორნიელმა ამერიკელმა ედ სტარკონმა განაცხადა, რომ მას არ სურს დაბრუნდეს ქვეყანაში, სადაც გაბატონებულია ძალადობა და რასიზმი. სანფრანცისკოელ დერილ ადამსსა და მის ცოლს მიაჩნიათ, რომ სანამ შეერთებულ შტატებში პოლიტიკური ვითარება არ შეიცვლება, არავითარი აზრი არა აქვს დაბრუნებას.

ახლა კანადაში მცხოვრებ ამერიკელებს, თქვა ადამსმა, სურთ იცოდნენ, რას გულისხმობს ამერიკის შეერთებული შტატები ოფიციალურად გამოცხადებული ტერმინით „საპატიო მშვიდობა ვიეტნამში". განა ვიეტნამელი ხალხისადმი მიყენებულმა მასობრივმა ხოცვამ, მწუხარებამ და ტანჯვამ სახელი და დიდება მოუტანეს შეერთებულ შტატებს?

ლოზუნგი „არა, არა, ჩვენ არ წავალთ!", რომელიც თავის დროზე გავრცელებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ომისსაწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილეთა შორის, ახლა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, აიღორძინეს კანადაში ამერიკელებმა — ვიეტნამის ომის მოწინააღმდეგეებმა, რომლებსაც არ სურთ სამშობლოში დაბრუნება.

ფოტოინფორმაცია



საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ იაპონიამ უკანასკნელ ათწლეულში დიდი ეკონომიური მიღწევები მოიპოვა და კაპიტალისტურ სამყაროში მეორე ადგილი დაიჭირა. მაგრამ ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ეს მიღწევები არაფრით არ დასტყობია ცხოვრების დონეს. ამომავალი მზის ქვეყანა ამ მხრივ მსოფლიოს პირველი ოცი ქვეყნის რიცხვშიც კი ვერ შედის. იაპონელი მშრომელები აქტიურად იბრძვიან სოციალურ უსამართლობათა წინააღმდეგ. გაფიცვები და პროტესტები ხშირად არყევს იაპონიის კუნძულებს. მრავალ პრობლემას შორის პენსიებით მშრომელთა უზრუნველყოფის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა დღევანდელი იაპონიისათვის. სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოთა მუშებსა და მოსამსახურეებს მცირე პენსიის (5 ათასი იენი) მიღების უფლება აქვთ და ისიც მხოლოდ 70 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ. ეს თანხა გამოსაკვებადაც არ კმარა, სხვა საარსებო მოთხოვნილებებზე, რომ არაფერი ვთქვათ.

ამას წინათ „ჩვენ მეტს ველარ გავჩუმდებით" საზოგადოების წევრმა სეიფუ ხაიასიმ მოაწყო მჯდომარე დემონსტრაცია იაპონიის ფინანსთა სამინისტროს შენობასთან. წინ მან დაილაგა 5 ათასი იენით ნაყიდი პროდუქტები, რომლებიც საერთო ანგარიშით 10 დღეს თუ ეყოფა ადამიანს. თვით სეიფუ ხაიასი ამ მცირე თანხასაც კი ვერ იღებს, რადგან იგი ჯერ მხოლოდ 67 წლისაა და მოხუცებულობით პენსიის მიღების უფლება მხოლოდ სამი წლის შემდეგ ექნება.

სურათზე: სეიფუ ხაიასი ფინანსთა სამინისტროს შენობასთან.

საქდესის ფოტოქრონიკა.

## პაკისტანი: რეალისტური კურსი

საქდესის კომენტარი

უკანასკნელ ხანს პაკისტანის მთავრობამ პრეზიდენტ ზულფიკარ ალი ბჰუტოს მეთაურობით გადადგა მთელი რიგი საგარეოპოლიტიკური ნაბიჯები, რომლებიც მოწმობენ, რომ იგი რეალისტურად აფასებს სამხრეთ აზიაში შექმნილ ვითარებას. ამ ნაბიჯებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია: სიმლაში შეთანხმების დადება, რომელმაც გზა გაუხსნა კეთილმეზობლურ ურთიერთობას პაკისტანსა და ინდოეთს შორის, ბჰუტოს მთავრობის გადაწყვეტილება სეატოს სამხედრო ბლოკიდან გასვლის შესახებ, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკასთან სრული დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. რით იყო განპირობებული ეს პოზიტიური ნაბიჯები?

პაკისტანში სამხედრო-დიქტატორული რეჟიმის დაცემამ და ხელისუფლების სათავეში სამოქალაქო მთავრობის ჩადგომამ, იმან, რომ შეიქმნა ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც კურსი აიღო თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ, ახალი ვითარება შექმნა სამხრეთ აზიის სუბკონტინენტზე. ეს ვითარება ხელს უწყობს მშვიდობის, დემოკრატიისა და პროგრესის ძალების განმტკიცებას, ამ რაიონის ქვეყნებს შორის კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ურთიერთობის დამყარებას. სწორედ მან შექმნა წინაპირობები პაკისტანის მთავრობის ხსენებული აქციებისათვის.

იმის გამოცხადებას, რომ პაკისტანი სეატოდან გავიდა; ამ ქვეყანაში ყველგან დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ. ეს მიჩნეულ იქნა ახალი, რეალისტური საგარეოპოლიტიკური ორიენტაციის ნიშნად. ამის შემდეგ ბჰუტოს მთავრობის გადაწყვეტილებებმა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობის შესახებ განამტკიცა მეთვალყურეთა რწმენა, რომ გარესამყაროსთან პაკისტანის ურთიერთობის სფეროში ახალი პოზიტიური კურსი დაისახა.

ეს გადაწყვეტილებანი მიჩნეულია პაკისტანის მთავრობის მისწრაფებად გააფართოოს საერთაშორისო ურთიერთობის წრე, იმ გზაზე დადგომად, რომ გადაჭრით მოუღოს ბოლო წინანდელი რეჟიმების იმ კურსს, რომელიც გულისხმობდა პაკისტანის საგარეო და საშინაო პოლიტიკის დაქვემდებარებას იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ინტერესებისადმი, ინდოეთთან სამხედრო კონფრონტაციის მიზნებისადმი.

აღსანიშნავია, რომ სოციალისტურ ქვეყნებთან პაკისტანის ურთიერთობაში შემობრუნება უკვე რამდენიმე თვის წინათ მოხდა. თუ გადავხედავთ იმ შეთანხმებათა სიას, რომლებიც პაკისტანმა უკანასკნელ თვეებში სსრ კავშირთან, ჩეხოსლოვაკიასთან, უნგრეთთან, რუმინეთთან, იუგოსლავიასთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან დადო, ცხადი გახდება, რომ წარსულში არასოდეს არ დადებულა ამდენი დიდმნიშვნელოვანი შეთანხმებანი ესოდენ მოკლე პერიოდში.

დადებითი ძვრები ისახება პაკისტანის პოზიციაშიც ბანგლადეშის ცნობის საკითხში. მემარჯვენე რელიგიურ-პოლიტიკური პარტიების ფანატიკურმა მოწოდებებმა „მუსლიმანური ბენგალიისათვის" საუკუნო ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, ცოტა ხნის წინათ მთელი ძალით რომ გაისმოდა, ახლა შესამჩნევად შეიკლო. სხვადასხვა პოლიტიკურ შეხედულებათა მოღვაწეებისაგან სულ უფრო ხშირად შეიძლება მოისმინოთ რჩევა, რომ ფხიზლად მიუდგნენ არსებულ ვითარებას, სწორი დასკვნები გააკეთონ იმ მოვლენებიდან, რომლებმაც გამოიწვია ბანგლადეშის შექმნა. დამამიმედებელი ნიშანია ის, რომ პაკისტანის მმართველი სახალხო პარტიისა და მთავარი ოპოზიციური ძალის — ეროვნული სახალხო პარტიის მეტ წილ ხელმძღვანელებს ერთნაირი პოზიციები უჭირავთ ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის ცნობის საკითხში. ეს პოზიცია იმაში მდგომარეობს, რომ ამ ახალ სახელმწიფოსთან კონტაქტების უქონლობა ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლებაა სუბკონტინენტზე მტკიცე მშვიდობის დამყარების საქმეში.

თავის ერთ-ერთ ამასწინანდელ საჯარო გამოსვლაში პრეზიდენტმა ბჰუტომ პაკისტანელებს მოაგონა, რომ ბანგლადეშის შექმნა შედეგია არა საგარეო შეთქმულებისა, არამედ სამხედრო დიქტატორთა რეაქციული პოლიტიკისა, რომელმაც ბიძგი მისცა ბანგლადეშელი ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას. ბანგლადეში, — თქვა მან, — რეალურად არსებობს და ეს რეალობა უნდა ვცნოთ.

ცხადია, პაკისტან-ინდოეთის ურთიერთბრძოლის 25 წლის ისტორიამ ღრმა კვალი დააჩნია პაკისტანელთა ფსიქოლოგიას. ეს ურთიერთბრძოლა შედეგი იყო მუსლიმანთა და ინდოელთა ერთმანეთისადმი დაპირისპირების ინგლისის კოლონიური პოლიტიკისა, რომელიც ემყარებოდა ყბადაღებულ პრინციპს „გათიშე და იბატონე". პაკისტანში დღესაც კიდევ მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც ინდოელებს მტრებად თვლიან, ხოლო ინდოელ ხელმძღვანელთა განცხადებებს მშვიდობისადმი მისწრაფების შესახებ — ფარისევლობად. ასეთი წარმოდგენები, რომლებსაც მრავალი წლის განმავლობაში ნერგავდნენ კოლონიზატორები და მათი მორჩილი ხელისუფალნი, ძალიან გამძლეა.

მაგრამ რეალიზმი სულ უფრო იკიდებს ფეხს ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობაში. სიმლის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ გამოსვლისას პრეზიდენტმა ბჰუტომ პაკისტანელთა უმრავლესობის გრძნობები გამოთქვა, როცა განაცხადა, რომ ვერც ინდოეთი და ვერც პაკისტანი თავს ნებას ვერ მისცემენ კონფრონტაცია შექმნან და უაზროდ ხარჯონ ძვირფასი რესურსები იმ დროს, როცა სუბკონტინენტზე ჯერ კიდევ სიღატაკეა და ადამიანები შიმშილით, უმეცრებითა და ავადმყოფობით იტანჯებიან. იგივე აზრი გამოთქვა მმართველი პარტიის დეპუტატმა ა. კაბიბმაც.

პაკისტანის ფართო საზოგადოებრიობამ დიდი კმაყოფილებით მიიღო ინდოეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისაკენ მიმართული ნაბიჯები. სულ ცოტა ხნის წინათ ინდოეთისა და პაკისტანის დედაქალაქებში გამოაცხადეს, რომ დამთავრდა ჯარების ურთიერთ გაყვანა იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც ოკუპირებული იყო ორივე ქვეყნის არმიების მიერ შარშანდელი სამხედრო კონფლიქტის დროს. ჯარების გაყვანა მოხდა სიმლას შეთანხმების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს ინდოეთსა და პაკისტანს შორის ყველა სადავო საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას. კიდევ უფრო ადრე სამხედრო სარდლობის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკების შედეგად გარკვეულ იქნა ჯამუსა და ქაშმირში ფაქტიური კონტროლის ხაზი. „ეს თუმცა პირველი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია, — წერს გაზეთი „ინდიან ექსპრესი", კომენტარს უკეთებს რა ამ ამბებს. ახლა დღის წესრიგშია სხვა კონკრეტული ღონისძიებანი ინდოეთ-პაკისტანის ურთიერთობის ნორმალიზაციის მიზნით. „მე ვფიქრობ, — განაცხადა ამ დღეებში პრეზიდენტმა ბჰუტომ, — ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ პროგრესს დიპლომატიურ ფრონტზე, განვაახლოთ ვაჭრობა, რომელიც შეწყდა 1965 წლიდან, კავშირგაბმულობა, შეთანხმებანი საჰაერო მიმოსვლის შესახებ და სხვა. ეს მცირე მნიშვნელობის საქმე როდია".

ინდოეთთან დაახლოებისაკენ მიდრეკილებამ იმაშიც იჩინა თავი, რომ ყარაჩისა და ფენჯაბში შეიქმნა ინდოეთთან მეგობრობის საზოგადოებანი. ღონისძიებანი, რომლებსაც საზოგადოებები ახორციელებენ, ხელს უწყობენ მათ შესრულონ დიდმნიშვნელოვანი საგანმანათლებლო მისია, თვალს უხელენ ხალხს რეალურ სინამდვილეზე, რომელშიც ცხოვრობს სუბკონტინენტი, იმ პროპაგანდის მავნეობასა და საშიშროებაზე, რომელსაც მემარჯვენე რელიგიური პარტიები ეწევიან.

ცვლილებანი პაკისტანელი ხალხის შეგნებაში, ისევე როგორც მთავრობის ბოლოდროინდელი საგარეოპოლიტიკური აქციები მნიშვნელოვან საფუძველს იძლევიან იმ იმედებისათვის, რომ პაკისტანი თავის ისტორიაში იწყებს ახალ თავს, რომელშიც ადგილი არ ექნება ომს, კონფრონტაციას, კონფლიქტებს.

## პრესა აცნობს

მეგობრები გვიმრავლოს!

ამ უკანასკნელ წლებში ჩვენი რესპუბლიკა, მისი კულტურა, ხელოვნება კიდევ უფრო კარგად გაიცნეს დედამიწის თითქმის ყველა კონტინენტზე.

განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს საბჭოთა საქართველოსადმი სოციალისტური ქვეყნების პრესა. გასული წლის ჩეხოსლოვაკურ ჟურნალ „სვეტ სოციალიზმუში", რომელიც ჩეხურ და სლოვაკურ ენებზე გამოდის, მთელი წლის განმავლობაში რეგულარულად იბეჭდებოდა საინტერესო სტატიები და ფოტოსურათები ჩვენს რესპუბლიკაზე.

ჩეხური გამოცემის მე-3 ნომერში გამოქვეყნებულია ვრცელი წერილი საქართველოს დედაქალაქ თბილისზე, დაბეჭდილია ქალაქის რამდენიმე ხედი. ამავე ნომერში სათაურით „ახალგაზრდა მხატვართა სოფელი" მთელი გაშლილი გვერდი ეძღვნება ვანის სამხატვრო სკოლას.

აქვე გამოქვეყნებულია ვანელ მოსწავლეთა რამდენიმე ნამუშევარი.

მე-17 ნომერში დაიბეჭდა წერილი „იყო და არის ორი რაჩა", რომელიც ეხება სლოვაკიის სოფელ რაჩისა და ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელის მშრომელთა თანამეგობრობას. 22-ე ნომერში მთელი ექვსი გვერდი აქვს დათმობილი წერილს ჩვენს რესპუბლიკაზე. წერილის შესავალში ავტორები მკითხველთა ფართო წრეს აცნობენ საქართველოს გეოგრაფიას, ტერიტორიას, მის მოსახლეობას, ქალაქებსა და მსხვილ რაიონულ ცენტრებს.

სლოვაკური გამოცემის 29-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში — „საქართველო არა მარტო ჩაის ქვეყანაა" მოთხრობილია ჩვენი რესპუბლიკის ინდუსტრიულ ცენტრებზე. ამავე ჟურნალში დაბეჭდილია რეცენზია ქართულ ფილმზე „ფიროსმანი".

ჩეხური ჟურნალის 43-ე ნომერში გამოქვეყნებული წერილი „საოცარი და ორიგინალური ხელოვნება" ეძღვნება ჭედური ხელოვნების გამოჩენილი ოსტატის ირაკლი ოჩიაურის შემოქმედებას. აქვეა ილუსტრირებული მხატვრის რამდენიმე ნამუშევარი.

ყოველწლიურად იზრდება იმ სახელმწიფოების რიცხვი, რომელთა მისამართით საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება გზავნის წიგნებს, ბროშურებს, ალბომებს საბჭოთა საქართველოს ისტორიული წარსულის, რესპუბლიკის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების ამა თუ იმ დარგის მიღწევებზე. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებულ სსრ კავშირთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებებსა და კულტურის ცენტრებს ეს ბროშურები, ბუკლეტები, ალბომები ეგზავნებათ რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ესპანურ ენებზე.

ამ მასალების საფუძველზე სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებები თავიანთ ქვეყნებში აწყობენ გამოფენებს, სადაც უხვად იყენებენ საქართველოდან მიღებულ მასალებს.

საზოგადოების სახელზე არაერთი მადლობის წერილი და დეპეშა მოვიდა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. აი რას იწერებიან საზოგადოების სახელზე გამოგზავნილ წერილში ჩეხოსლოვაკიიდან. ჩეხოსლოვაკია-სსრ კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხელმძღვანელობა დიდ მადლობას გამოსთქვამს იმ შესანიშნავი მასალების გამოგზავნისათვის, რომელთა საფუძველზე პრაღაში მოვაწყვეთ გამოფენა. ამ გამოფენამ პრაღელებში დიდი ინტერესი გამოიწვია. იგი რამდენიმე ათასმა კაცმა დაათვალიერა.

ერაყიდან მიღებულ მადლობის ბარათში აღნიშნულია, რომ ერაყის საზოგადოებრიობაში ფართო ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კავშირის კულტურის ცენტრის შენობაში მოწყობილმა გამოფენამ საქართველოს რესპუბლიკაზე. ერაყის სხვადასხვა ორგანიზაციებში მოეწყო აგრეთვე ქართული წიგნის გამოფენები.

— მადლობას, მოგახსენებთ შესანიშნავი ლიტერატურის გამოგზავნისათვის, რომლის საფუძველზე დამასკოსა და სირიის სხვა პროვინციებში მოეწყო გამოფენები საბჭოთა საქართველოზე, — იწერებიან სირიიდან,

ინგლისიდან მიღებულ წერილში ნათქვამია, რომ სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ლონდონის გაზეთმა „სოვეტ უიკლიმ" თავის მკითხველებს ფართოდ გააცნო საქართველოს რესპუბლიკა.

მადლობის ბარათებია მიღებული აგრეთვე პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, იაპონიიდან, ავსტრალიიდან, კამბოჯიდან, იტალიიდან და მსოფლიოს სხვა ქვეყნებიდან.

გვიმრავლოს მეგობრები.

ლ. ხუბულური.

• • •

სურათზე: ჟურნალ „სვეტ სოციალიზმუს" ნომრები, რომლებიც მიძღვნილია ჩვენი რესპუბლიკისადმი.




ჟენევა

## სოციალური უბედურება

14 თებერვალი. (საქდესი). ჟენევის ერთა სასახლეში მუშაობა დაამთავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიური და სოციალური საბჭოს ნარკოტიკულ საშუალებათა კომისიის 25-ე სესიამ. სესიის მონაწილეებმა განიხილეს ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენებისა და უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგაზრდობას შორის გავრცელებული ნარკომანიის პრობლემას.

სულ უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს ნარკოტიკულ საშუალებათა ბოროტად გამოყენების გაძლიერება და ამასთან დაკავშირებით დანაშაულობათა ზრდა კაპიტალისტურ სამყაროში. შეერთებულ შტატებში, როგორც ამერიკის დელეგატმა განაცხადა, მარტო ჰეროინს ხმარობს ნახევარ მილიონზე მეტი ნარკომანი. „ნარკომანიით გამოწვეული დანაშაულობანი, თქვა მან, — ამერიკელ მოქალაქეებს ყოველწლიურად ათეულ მილიონობით დოლარ ზარალს აყენებენ".

ბევრმა დელეგატმა აღნიშნა, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებში მკვეთრად გაიზარდა ნარკოტიკებით დანაშაულებრივი ვაჭრობა.

დისკუსიაში გამოსულმა სსრ კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნარკომანია და ნარკოტიკების უკანონო გაყიდვა სოციალური მოვლენაა და ეს პრობლემა საბჭოთა კავშირში არ არსებობს.

სესიის მონაწილეებმა შეიმუშავეს საერთაშორისო ხასიათის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია გაძლიერდეს კონტროლი ნარკოტიკული საშუალებებისადმი და ბრძოლა ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობის, აგრეთვე ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. ამ ღონისძიებებს წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს.



„ლუნოხოდ-2“ სადგურმა კარგად დაისვენა“ მთვარის ღამეს და ახლა განაგრძობს თავის რთული მეცნიერული მისიის შესრულებას.

მთავარი ამოცანა, რომელიც მოძრავი ახალი სამეცნიერო ლაბორატორიის წინაშე დგას მთვარეზე, ეს არის კომპლექსური კვლევა ზღვის რაიონიდან მატერიკის რაიონში გადასვლის ზონაში. საქმე ის არის, რომ ამჟამად მეცნიერებამ დააგროვა საკმარისი ცნობები მთვარის საზღვაო რაიონების, მათი შემქმნელი ქანების ქიმიური შედგენილობის, გეოლოგიურ - მორფოლოგიური თავისებურებების შესახებ. ეს ავტომატური სადგურების, და უწინარეს ყოვლისა „ლუნა-16“ და „ლუნოხოდ-1“ სადგურების უდიდესი, უდავო დამსახურებაა.

## მეცნიერული კომენტარი

# გზად ტავრის მასივისაკენ

„ლუნა-20“ ავტომატურმა სადგურმა 1972 წლის თებერვალში პირველად ჩამოიტანა დედამიწაზე რეგოლიტის ნიმუშები ძნელად მისადგომი მატერიკული, მთიანი რაიონიდან.

ლაბორატორიულ პირობებში განხორციელებულმა ამ ნიმუშების ზუსტმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ისინი არსებითად განსხვავდებიან მთვარის ზღვების შემქმნელი ქანების ნიმუშებისაგან. ეს კი თავის მხრივ ადასტურებს, რომ არსებობის უკვე ადრეულ სტადიაზე მთვარე იყო ციური სხეული, რომელიც არაერთგვაროვანი ნივთიერებისაგან შედგებოდა.

როგორდა იცვლებიან მთვარის ნივთიერების მახასიათებლები ზღვიდან მატერიკამდე, არსებობს თუ არა კანონზომიერებანი მათს ცვლილებებში, სახელდობრ როგორია მათი კორექტირება ერთმანეთს შორის?

აი კითხვები, რომლებიც აღელვებენ მეცნიერებს.

„ლუნოხოდ-2“ მოძრავ ლაბორატორიას, ისევე როგორც მის წინამორბედ „ლუნოხოდ-1“ სადგურს, ყველა სხვა ავტომატური სადგურისაგან განსხვავებით შეუძლია კვლევა. არა მარტო დაჯდომის წერტილში ან უშუალოდ ახლომდებარე რაიონში, არამედ მოძრაობის ტრასის გაყოლებითაც.

მთვარემავლის „სამეცნიერო აღჭურვილობა“ უზრუნველყოფს მთვარის ზედაპირის დეტალურ და ყოველმხრივ შესწავლას. აპარატურა შესაძლებლობას გვაძლევს გავაანალიზოთ მთვარის გრუნტის ქიმიური შედგენილობა და გავზომოთ მისი ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები. ამ მონაცემების შედარება საბორტო სატელევიზიო სისტემების მეშვეობით მიღებულ ვიზუალური დაკვირვების შედეგებთან მნიშვნელოვნად აფართოებს შემეცნების საზღვრებს. სატელევიზიო დაკვირვებანი საშუალებას გვაძლევენ არა მარტო დავუკავშიროთ გრუნტის გაზომილი მახასიათებლები ადგილის რელიეფს, გავიგოთ, რა კავშირი შეიძლება იყოს მათ შორის, არამედ დავაკვირდეთ კიდევაც, მაგალითად მთვარემავლის მიერ დატოვებულ კვალს და მივიღოთ ისეთი ცნობები გრუნტის შესახებ, როგორიც არის მისი მიკვრის, ფხვიერობის უნარი, დავინახოთ სტრუქტურის თავისებურებანი.

მთვარის გრუნტის ქიმიურ შედგენილობას განსაზღვრავენ „რიფმის“ აპარატურის საშუალებით. ანალიზის რენტგენული იზოტოპური ფლუორესცენტული მეთოდი. ანალიზის მეთოდს საფუძვლად უდევს ყოველგვარი ქიმიური ელემენტის უნარი გარკვეულ პირობებში გამოასხივოს რენტგენული სხივების სპექტრი, რაც მხოლოდ მისთვის არის დამახასიათებელი. თუ „გადავიღებთ“ ნივთიერების გამოსხივების სპექტრს, განვსაზღვრავთ მასში სპექტრული ხაზების მდებარეობასა და მათს ინტენსივობას, შეიძლება მივიღოთ არა მარტო იმ ქიმიურ ელემენტთა შედგენილობა, რომლებიც ნივთიერებას შეადგენენ, არამედ აგრეთვე მათი შედარებითი შედგენილობა.

მთვარემავლის გარეთ განლაგებულ „რიფმის“ აპარატურის გასატან ბლოკში, წინა ქვედა ნაწილში, განლაგებულია რადიაქტიური წყაროები, რომლებიც ასხივებენ მთვარის გრუნტს და მის რენტგენულ გამოსხივებას იწვევენ. ამავე ბლოკში მოთავსებულია გრუნტის რენტგენული გამოსხივების დეტექტორები, რომლებიც თავისებური მიმღებებია. „რიფმის“ დანარჩენი ბლოკები განლაგებულია მთვარემავლის შიგნით.

ამ აპარატურის ღირსებებს შეიძლება მივაკუთვნოთ მისი საშუალებით არა მარტო ზედაპირული ფენის, არამედ აგრეთვე იმ ნივთიერების ქიმიური შედგენილობის განსაზღვრის უნარი, რომელიც ახალგაზრდა კრატერების წარმოქმნის დროს ამოიფრქვევა. ეს კი თავის მხრივ საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ სიღრმე, საიდანაც ამოფრქვევა მოხდა, განვსაზღვროთ ამ სიღრმეზე განლაგებული ქანების შედგენილობაც.

გრუნტის მექანიკურ თვისებებს იკვლევენ გამავლობის შემაფასებელი ხელსაწყოს საშუალებით. იგი შედგება მოწყობილობისაგან, რომელსაც გრუნტში შეჰყავს და მასში აბრუნებს კონუსური ფორმის შტამპს. შტამპის ბოლოში ოთხი ფრთაა. ეს გამოკვლევები ეწყობა აგრეთვე მეცხრე თვლის გამოყენებით. იგი განვლილი გზის გადამწოდია და საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ მთვარემავლის წამყვანი თვლების წაბუქსავება. ხელსაწყოს მუშაობის დროს იზომება შტამპის გადაადგილება, გრუნტზე მისი დაწოლის გაძლიერება, მობრუნების კუთხე და გრუნტის წინაამდეგობის ძალა.

წარმოებს აგრეთვე მეცხრე თვლის ვერტიკალური გადაადგილების რეგისტრაცია. გრუნტის მექანიკურ თვისებათა შესწავლაში მონაწილეობენ აგრეთვე მთვარემავლის დახრისა და დიფერენტის, თვითმავალი შასის თვლების ელექტროძრავების დენის, ძაბვებისა და მეცხრე თვლის ბრუნვების გადამწოდები. ყველა ეს ცვლილება საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მთვარის გრუნტის წევა-შეჭიდულობის მახასიათებლები.

სპეციალური ბორტის ხელსაწყოებით სიდიდის გაზომვები გარდაიქმნება სიგნალებად, რომლებიც „კოსმოსური რადიოხიდით“ გადაეცემა დედამიწას, შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრს. მისაღებ მოწყობილობაში სიგნალები იყოფა და ციფრობრივ სიდიდეებად გარდაქმნის შემდეგ მათ იღებენ სპეციალისტები, რომლებიც იაზრებენ გაზომვათა შედეგებს, გამოაქვთ დასკვნები და სახავენ ახალ ამოცანებს.

„ლუნოხოდ-2“ გზაშია... დღითიდღე იგი სულ უფრო შორდება დასაჯდომ პლატფორმას, რომელმაც იგი ლემონიეს კრატერში მიიტანა. ეს კრატერი, როგორც ცნობილია, სიკაშკაშის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობს. სულ უფრო ახლოვდება ტავრის მთის მასივის მატერიკული ფარი.

(საკდესი).

## თ. ი. შალიაპინის დაბადების 100 წლისთავი



# რუსული სცენის მშვენება

რუსული კულტურის დიდ მოღვაწეთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს თევდორე ივანეს ძე შალიაპინს—მთაგონებულ მომღერალსა და მსახიობს. „შალიაპინი დიდი ხელოვანია, უპირატესად ეროვნული. ამით იგი ჰგავს უდიდეს რუს პოეტებსა და მწერლებს...“ — ასე აფასებდა მის ტალანტს გამოჩენილი მუსიკალური კრიტიკოსი ვ. ვ. სტასოვი. შალიაპინისეული შემოქმედების ტრადიციები ვითარდება ახლაც საბჭოთა საოპერო სცენაზე.

თ. ი. შალიაპინის დაბადების 100 წლისთავი, რომელიც ამ დღეებში აღინიშნება, გახდა დღესასწაული ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია ხელოვნება. რუსეთის ფედერაციის ბევრ ქალაქში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში გაიმართა საიუბილეო საღამოები, სპექტაკლები, კონცერტები, გაიხსნა გამოფენები. საზეიმო კონცერტი გაიმართა 12 თებერვალს სსრ კავშირის დიდ თეატრში.

თეატრის სცენას — სწორედ იმ სცენას, სადაც მსახიობი განუმეორებელი ოსტატობით ასრულებდა კლასიკურ საოპერო პარტიებს, ამშვენებდა შალიაპინის უზარმაზარი პორტრეტი.. დარბაზში შეიკრიბნენ დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ცნობილი მსახიობები, კომპოზიტორები, მუსიკოსები, საიუბილეო კომისიის წევრები.

თ. ი. შალიაპინის შემოქმედების შესახებ სიტყვა წარმოთქვა საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის მთავარმა რეჟისორმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ბ. ა. პოკროვსკიმ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ შალიაპინი მთელი თავისი ხელოვნებით ამკვიდრებდა ხალხური რეალისტური ხელოვნების მაღალ პრინციპებს, იყო დიდი რუსი კომპოზიტორების ნაწარმოებთა უბადლო ინტერპრეტატორი.

საღამოს პროგრამა გაიხსნა სახელგანთქმული სიმღერით „დუბინუშკა“. კვლავ დიდ თეატრში, ისევე როგორც საუკუნის დამდეგს, ჟღერდა თევდორე შალიაპინის ბანი: ერთმა მრავალთაგანმა ჩანაწერთაგანმა თაობებს შემოუნახა მომღერლის ხმა.

კონცერტში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის საოპერო თეატრების წამყვანი სოლისტები. მათ შეასრულეს მომღერლის საყვარელი არიები, რომანსები, სიმღერები. პროგრამაში შეტანილი იყო ფრაგმენტები ოპერებიდან „ბორის გოდუნოვი“ და „ხოვანშჩინა“, „ალი“, „თავადი იგორი“, „მტრის ძალა“. მსმენელები გაეცნენ თვით თ. ი. შალიაპინის ნაწარმოებს — „ეჰ, სიმღერებო!“, მუსიკა და სიტყვები ამ რომანსისათვის დაწერა მომღერალმა.

კლასიკასთან ერთად ფართოდ იყო წარმოდგენილი რუსული ხალხური სიმღერები, ფერხულები, ცეკვები. ისინი შეასრულეს პიატნიცკის სახელობის აკადემიურმა რუსულმა ხალხურმა გუნდმა და თეატრების სოლისტებმა.

კონცერტი დამთავრდა სცენით გლინკას „ივანე სუსანინიდან“, რომელშიც მონაწილეობდნენ დიდი თეატრის სოლისტები, გუნდი და ორკესტრი. (საკდესი).

## ექიმი — მხატვარი

# პრაჩეულებრივი გამოფენა

ქუთაისი. (საკ. კორ.). ეს გამოფენა ახლახან მოეწყო ქუთაისში, მხატვართა საგამოფენო დარბაზში. იგი წარმოადგინა მხატვრებისათვის ჯერ კიდევ უცნობმა პირმა — წყალტუბოს რაიონის სოფელ მუხიანის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა გ. ბრეგაძემ.

ათ წელზე მეტია, რაც მკურნალის ყურადღება მიიპყრო საქართველოს ტყეებში გავრცელებული ხის ჯიშების საოცარმა თვისებებმა. ბუნება თვით არის უდიდესი მხატვარი, იგი რითიმე ემსგავსება ხელოვნების იშვიათ ქმნილებებს. და აი ექიმმა დაიწყო მოგზაურობა, აგროვებდა ხეთა საოცარ ნიმუშებს, შემდეგ შემოქმედებითად ამუშავებდა მათ.

გამოფენაზე ყურადღებას იქცევს ძელქვისა და ბზის სახილეები, წითელი ხის ერთიანი ფესვისაგან დამზადებული სავარძელი, ფანტაზიებად წარმოდგენილი ტყის სხვადასხვა საოცრებანი — „ტყის ზღაპარი“, „მონადირის სიზმარი“ და სხვ.

საგამოფენო დარბაზში სულ ექსპონირებულია ორმოცდახუთამდე სხვადასხვა ნიმუში.

დ. გედენიძე.

სურათზე: მაგიდა, სავარძელი და სახილე ფეხვებზე.

ი. ბერეჩიკიძის ფოტო.





სოხუმის ავიასაწარმოს კოლექტივს მძიმე და კეთილშობილური სამუშაო აქვს. მას გადაჰყავს მგზავრები, გადააქვს სხვადასხვა ტვირთი და ფოსტა ძნელმისადგომ მაღალმთიან რაიონებში, ემსახურება გეოლოგიურ-საკვლევ, საძიებო, გეოდეზიურ პარტიებს. ყველაზე რთული სახის ტვირთები სპეცგამოყენების ავიაციას გადააქვს.

სურათებზე: ქვემოთ, მარჯვნიდან მარცხნივ — მეორე პილოტი იგორ დოლგორუკოვი, გეოლოგიურ-საკვლევი პარტიის სამთო სამუშაოების სამუშაოთა მწარმოებელი შალვა კვიციანი და ვერტმფრინავთა რგოლის მეთაური ვიქტორ კუზიუტინი ძნელმისადგომ მაღალმთიან აფხაზეთში გეოლოგიურ-საკვლევი ჯგუფისათვის ტვირთის სწრაფად გადატანის ადგილს აზუსტებენ; ზემოთ — სოხუმის ავიასაწარმოს ვერტმფრინავმა გეოლოგიურ-საკვლევი პარტიისათვის მთებში მორიგი ტვირთი მიიტანა.

ბ. სოკოლოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



## სოხუმელ ავიატორებთან

# „დინამოს“ ორი მატჩი

ბუშინ „დინამოს“ სასწავლო-საწვრთნელ ბაზაზე დიღომში თბილისის დინამოელებმა სეზონისწინა ორი სპარინგ-მატჩი გამართეს გორის „დილის“ ფეხბურთელებთან.

თბილისელთა ძირითადი შემადგენლობა შეხვდა „დილის“ პირველ გუნდს, რომელიც, როგორც ცნობილია, გამოდის „ა“ კლასის მეორე ჯგუფში. დინამოელთა რიგებში, რომელსაც ამ დღეს აკლდა გუნდის კაპიტანი ხურცილავა და მეკარე გოგია, თამაშობდნენ ჩლაიძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია და ყიფიანი.

თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:0. გოლების ავტორები იყვნენ გ. ნოდია (ორი) და ასათიანი.

შემდეგ მოედანზე თბილისის „დინამოს“ სათადარიგო შემადგენლობა და გორის „დილის“ მოსამზადებელი ჯგუფის გუნდი გამოვიდა. დინამოელებმა გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით 6:0. ბურთები გაიტანეს ლ. ნოდიამ და კუტივაძემ (ორ-ორი), რეხვიაშვილმა და წერეთელმა. თბილისელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: ყარყარაშვილი, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ნატროშვილი, ჯინჭარაძე (გაგუა), გოგიჯანაშვილი, მჭედლიშვილი, კუტივაძე, წერეთელი, რეხვიაშვილი, ლ. ნოდია.

## წარუმატებელი ტური

რეიკიავიკი. სამივე ამხანაგურ მატჩში, რომლებიც თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელებმა ისლანდიის დედაქალაქში გამართეს ამ ქვეყნის ნაკრების წინაამდეგ, გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 23:19, 19:17 და 22:20.

## სპორტი

# რამდენიმე სტრიქონით

● კაუნასი. ბათუმელმა ს. სარხოიანმა და მოსკოველმა ს. გომოზკოვმა სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვეს წყვილთა შეჯიბრებაში ვაჟთა შორის. გომოზკოვმა ოქროს მედალი დაიმსახურა აგრეთვე ერთეულთა ტურნირში, სადაც სარხოიანი მესამე იყო.

● ლენინგრადი. აქ გაიმართა სსრ კავშირისა და აშშ-ის ნაკრები გუნდების თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მესამე ამხანაგური მატჩი. ისევე როგორც ერევანსა და ბაქოში, წარმატება საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ — 7:3.

● ბუქარესტი. ცნობილმა რუმინელმა ოსტატმა სამმაგ ხტომაში კაროი კორბუმ რუმინეთის დედაქალაქში გამართულ შეჯიბრებაზე აჩვენა 16 მეტრი და 91 სანტიმეტრი. ეს მსოფლიოში ამ ზამთრის საუკეთესო შედეგია დახურულ დარბაზებში.

● საპორო. ფინელმა ტაუნო კიამკემ გაიმარჯვა „მფრინავ მოთხილამურეთა“ შეჯიბრებაში დიდ ოლიმპიურ ტრამპლინზე — 108 და 101 მეტრი (241,1 ქულა). „თეთრი ოლიმპიადა — 72“-ის ჩემპიონი, იაპონელი იუკიო კასაია გამოვიდა მე-18 ადგილზე.

## სასარგებლოა ვიცოდეთ

# კაცს რომ ფეხი დაუსხლტება...

ყველა ყოფაცხოვრებითი ტრავმის დაახლოებით ნახევარი დაცემისას ხდება. ადამიანები ყოველნაირი მიზეზით ეცემიან, — კიბიდან, არამდგრადი საგნებიდან, ეცემიან ყინვაში ან, როცა შემთხვევით დაადგამენ ფეხს საზამთროს ქერქს — ყველა მიზეზს ვერც ჩამოთვლი. დაცემისაგან, რა თქმა უნდა, უფრო ხშირად ზიანდებიან ხანშიშესული ადამიანები — ისინი ფეხებს ისე მტკიცედ ვერ ადგამენ, რეაქციები შენელებული აქვთ, ისე სწრაფად ვერ მოეჭიდებიან რასმე, რომ თავი შეიკავონ, და ჩვეულებრივად ვერ ასწრებენ ნაკლებად საშიშ მდგომარეობაში ჩაიყენონ ტანი. მაგრამ ისე არ გამიგოთ, თითქოს დაცემისას სხეულს არ იზიანებენ, ფეხებს, ხელებს, ნეკნებს არ იტეხენ ახალგაზრდები.

გაიხსენეთ, რას წერდა თავის „ექიმის ჩანაწერებში“ ვ. ვ. ვერესაევი: „...ეზოში მიდიოდა მაგარი ბიჭი — მეჯინიბე, ფეხი დაუსხლტა და ზურგით დაეცა გობს, — აი უკვე მეექვსე წელია წევს ჩვენს კლინიკაში: ფეხები უმწეოდ აქვს ჩამოკიდებული, ადამიანის მათი განძრევა არ შეუძლია, ქვეშ შარდავს და გადის; უმწეოა უსუსური ბავშვივით. ასე წევს დღეების, თვეების, წლების განმავლობაში, ნაწოლები გაუჩნდა, და იმედიც არ არის, რომ როდისმე დაუბრუნდება წინანდელ მდგომარეობას...“. ხოლო აი გაცილებით უფრო გვიანდელი მაგალითი: ჯონ გლენს, ამერიკელს, რომელმაც 1962 წელს მშვიდობიანად შეასრულა ორბიტალური კოსმოსური ფრენა, უცაბედად ფეხი დაუსხლტა თავის საკუთარ სააბაზანოში, სერიოზულად დაიზინა შუაყური და თითქმის დაკარგა წონასწორობის გრძნობა.

გამოცდილება გვიჩვენებს, უმთავრესად რა გარემოებაში ეცემიან ადამიანები. უფრო ხშირად ეს ხდება ჩაბნელებულ კიბეებზე, სადაც დგას ვედროები და დაყრილია ჯაგრისები, ეცემიან, როცა ფეხს წამოჰკრავენ ძველმანების ან ძაღლის კუთხეს, როცა კიბეს არა აქვს მოაჯირი, საკმაოდ არ არის განათებული. საფეხურებზე დაღვრილმა წყალმა, ცხიმის შხეფებმა, დაუდევარი ადამიანის მიერ გადაგდებულმა ფანქრის ნატეხმა, ძაფის კოჭმა ან კარტოფილის კანმა შეიძლება უბედურება გამოიწვიოს. ყოველივე ეს მუდამ უნდა გვქონდეს მხედველობაში. საერთოდ არაფერი არ შეიძლება დავტოვოთ კიბის საფეხურებზე, თუნდაც დროებით.

ადვილად შეიძლება ფეხი დაგვისხლტეს მასტიკაწასმულ, გალაქულ ან ფიანდაზით დაფარულ იატაკზე.. ძლიერ ყინვაში, სიბნელეში ფეხსაცმელი სხლტება. ამიტომ მიზანშეწონილია ლანჩაზე დავაკრათ თხელი რეზინი, რომელიც არა მარტო დაცემის შესაძლებლობას ამცირებს, არამედ ფეხსაცმლის ტარების ვადასაც ახანგრძლივებს.

სააბაზანო ოთახში მილები ზოგჯერ სველია, სჯობს მათ არ მოვეჭიდოთ: ფაიფური აბაზანაში გლუვი და ძალიან სრიალაა, ხანშიშესულებისათვის შეიძლება ზედ დავდოთ რეზინის თხელი ხალიჩა. საერთოდ სააბაზანო ოთახში ყოფნისას არ უნდა ვჩქარობდეთ,- აქ უფრო ნელი მოძრაობაა საჭირო.

ზოგჯერ ბინაში, ეზოში საჭიროა რაიმეს მაღლა დაკიდება ან მიჭედება — მაგიდიდან ვერ სწვდებიან და ზედ კიდევ დგამენ სკამს, ტაბურეტს, ყუთს. ასეთი ნაგებობა ადვილად დაიშლება ხოლმე, და ამ დროს ძალიან დიდია დაზიანების საფრთხე. მტკიცედ გაწყობილი მისადგმელი, ხოლო კიდევ უკეთესი — გასაშლელი კიბე ოჯახში არასოდეს არ არის ზედმეტი. კიბეზე რომ ადიხართ, ცალი ხელი მასზე უნდა გეკიდოთ, მეორით კი ის უნდა მიგქონდეთ, რის დაკიდებასაც აპირებთ. არ შეიძლება კიბეს ფეხებქვეშ დაუდოთ ქვები, ფიცრის ნაჭრები. კიბის ფეხები ან წვეტიანი უნდა იყოს ან ბოლოში რეზინი ჰქონდეს გადაკრული (როცა ქვის იატაკზე მუშაობთ). კიბეზე დგომისას არ შეიძლება მკვეთრი მოძრაობა, მეტისმეტად შორს გადაწევა, რომ წონასწორობა არ დაკარგოთ. დაუშვებელია საფეხურებზე მაშის, გაზის, სხვა ინსტრუმენტების დადება — შეიძლება ჩამოვარდეს და ვინმეს თავზე დაეცეს. ბინაში აივანი გაქვთ. ეს კარგი და სასიამოვნოა, მაგრამ დროგამოშვებით ზედმეტი არ არის შეამოწმოთ, რამდენად წესიერულ მდგომარეობაშია მოაჯირი.

ახლა რამდენიმე სიტყვა იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეთ, როცა მაინც დაეცემით. დაუზიანებლად დაცემა თავისებური ხელოვნებაა. ეს შეიძლება ისწავლოთ. დააკვირდით, რა იოლად და უმტკივნეულოდ ეცემიან მეკარეები ფეხბურთის თამაშის დროს, მოჭიდავეები, ტანმოვარჯიშეები. ისინი, როგორც წესი, ოდნავაც არ ზიანდებიან. რაშია აქ საიდუმლოება? იგი შედარებით მარტივია: დაცემისას კუნთები მაქსიმალურად დაძაბული უნდა იყოს, როგორც შეკუმშული ზამბარა — მაშინ ისინი დარტყმის ამორტიზაციას ახდენენ.

კაცს რომ ფეხი დაუსხლტება, დაცემისას ცდილობს როგორმე ფეხზე დარჩეს: რაცხვენია, რომ სასაცილოდ არ გამოჩნდეს, უნდა გადაარჩინოს კოსტიუმი დასვრას, ხელში რომ საგანი უჭირავს — გატეხას, გასხოვდით, ძვირფასო ამხანაგებო: ზოგჯერ ნაკლებად საშიშია დაცემა (რა თქმა უნდა, გარკვეული პირობების დაცვით), ვიდრე თავშეკავების ცდისას დაზიანება. მეტ წილად თავის გადარჩენის ცდისას წინ გაიწვდით ხოლმე ცალ ან ორივე ხელს. ამის შედეგია ხელის ღრძობა ან ზოგჯერ მოტეხაც. თვითეულისათვის, ვინც ეცემა, ჭეშმარიტად ოქროს წესია — ამ მომენტში მაქსიმალურად შეიკუმშოს, ბურთივით შეიკრას, თავი მხრებში ჩასწიოს, ყველა კუნთი მნიშვნელოვნად დაძაბოს. სასურველია ისე შეტრიალდეს, რომ დაეცეს გვერდით, თეძოთი, მხარით. ამ შემთხვევაში ბევრი-ბევრი — მან დაჟეჟილობა, დალიბრება, გადახაჩნა მიიღოს. მთავარი საზრუნავი უნდა იყოს არა ტანისამოსის სუფთად და დაუზიანებლად ან საათის გადარჩენა, არამედ ის, რომ ავიცილოთ სერიოზული დაზიანება, მყესების დაჭიმვა, მოტეხილობა.

ვ. ზორინი.

სანიტარული განათლების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკი.

## ადამიანი და ბუნება

# შველს უშველეს



...ვებულიყო. სოფელ წითელმთის მცხოვრებმა გოდერძი ბარამიძემ იპოვნა მთიდან გადმოხვეწილი და ძალლების ნადევნი შველი. უმწეო ცხოველი მან გადასცა მახარაძის მონადირეთა საზოგადოებას. როცა მთლიანად გამოჯანსაღდება, მთის ბინადარს მშობლიურ ტყეში გაუშვებენ.

სურათზე: გ. ბარამიძე და მისი პატარა მეგობარი.

ზ. სამხონიას ფოტო.

## ტელევიზია

### 15 თებერვალი

**პირველი პროგრამით**

11.00 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (VI კლასელთათვის ატმოსფერული წნევა. ტორიჩელის ცდა), 11.25 — ტელეფილმი „სიტყვიერების მასწავლებელი“, 12.10 — სკოლების დასახმარებლად — ფიზიკა (VI კლასელთათვის ატმოსფერული წნევა. ტორიჩელის ცდა. განმეორებით), 12.35 — სატელევიზიო დადგმა „ბალადა სირანოზე“, 16.35 — ლექციები უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ქიმიაში, 17.20 — სსრ კავშირის ისტორიაში; 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის სატელევიზიო ფილმი „ქარი და იალქნები“, 18.30 — „ეთერშია ახალგაზრდობა“, 19.10 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.40 — „სახალხო კონტროლის ეკრანი“, 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „პალიტრა“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — „რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად“, 22.00 — „კონტინენტები, ქვეყნები, პრობლემები“, 22.35 — „მეგობართა კინოხელოვნება“ — „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა“.

**მეორე პროგრამით**

17.15 — მასწავლებლის საათი — ქიმია (გრაფიკული ხერხით ქიმიური ამოცანების ამოხსნა), 18.00 — განცხადებები, 18.05 — ლექციები სტუდენტთა დასახმარებლად — მასალათა გამძლეობაში, 19.05 — მხაზველობით გეომეტრიაში, 20.05 — პოლიტიკურ ეკონომიაში; 21.05 — კინონარკვევი, 21.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის სატელევიზიო ფილმი „კლავა ივანოვას შესახებ“.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### 16 თებერვალი

...ნოში“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.35 — ლექციები უმაღლეს სასწავ-...

20.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — „კანონიერების სადარაჯოზე“, 21.15 — „წიგნის სამყაროში“, 21.35 — კინონარკვევი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა ... ღერლის შემოქმედებითი ალბომი“ (ირაკლი შუშანია), 20.45 — კინონარკვევი, 21.00 — მხატვრული ფილმი „ჩაბნელებული ფანჯრები“ (I სერია).

## თეატრები

კომუნისტი

380008 თბილისი-8, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, ... განდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ... 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — ...

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02549

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.